სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 25 მაისი 2005 №115 (2438) ფასი 50 თეთრი

ტაში სტუში!

საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს

ნაბიჯით იარ!

გიო ახვლედიანი სტამბოლიდან

... ჩვენ არაფერს ვკარგავთ და ვიგებთ უდიდეს რამეს — ასეთი იყო რაფას ყველაზე მჭრელი სიტყვები — შევჩენკოს პერსონალურად არ დავიჭერთ. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა, რადგან „მილანს“ ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს და ყველას ერთნაირად უნდა მივხედოთ.

... „მილანი“ ერთნაირად შავ კოსტიუმებში ჩამოვიდა სტამბოლში, მუქი მელნისფერი ჰალსტუხებით. „ლივერპული“ კი უჰალსტუხოდაა თეთრ პერანგებსა და ალისფერ სვიტრებში. თურქული და მსოფლიო პრესა ახლა ძალიან კარგად წერს „ლივერპულზე“ და მის მზადყოფნაზე. „მილანს“ კი კრიტიკა ხვდება. მაგალითად, მალდინის ასეთი შეკითხვა მიახალეს: სამი დღეა, იძახით, რომ ამ თამაშს აუცილებლად მოიგებთ. რის საფუძველზე ამბობთ ამას? თქვენი გუნდი ხომ საშინელ ფორმაშია...

მალდინიმ ისე უპასუხა, როგორც პასუხობენ ხოლმე: ამ ერთი თამაშისთვის ათასი სხვა რამ არის გადამწყვეტი და არა ის, რომ ჩვენ ბოლო თამაშებში ვერ მოვიგეთ.

ანჩელოტი „ლივერპულისგან“ დაცვიდან თამაშს ვარაუდობს. ასევე განაცხადა, მგონია, ორივე დაცვიდან ვითამაშებთ და კარგი თამაში იქნება...

იხილეთ მე-2 გვერდი

რევაზ არველაძე არჩევნებს ჩამოშორდა



ალბერტ ფერლასმენი სოფლიდან

რევაზ არველაძე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლას ჩამოშორდა. ეს ამბავი გუშინ თავად არველაძემ ამცნო მედიას და არც ის დაუმალავს, რომ კანდიდატურა ნოდარ ახალკაცის სასარგებლოდ მოხსნა.

— ბევრი ფიქრის მერე გადავწყვიტე, არჩევნებში მონაწილეობა აღარ მივიღო — გვითხრა გუშინ რევაზ არველაძემ — ვადასტურებ, რომ კანდიდატურა ახალკაცის სასარგებლოდ მოვხსენი. მე და ნოდარს ქართული ფეხბურთის განვითარებაზე, ფაქტობრივად, მსგავსი შეხედულებები გვაქვს, შეიძლება ითქვას, რომ თანამოაზრეები ვართ და მომავალში აუცილებლად ვითანამშრომლებთ.

მაშ ასე, საპრეზიდენტო არჩევნებს სამი კანდიდატი შემორჩა — ნოდარ ახალკაცი, ვლადიმერ გუცაევი და გიორგი ნემსაძე. თუ ხელისუფლების მხრიდან ახალკაცისადმი სიმპათიებს გავითვალისწინებთ, ალბათ, 11 ივნისს საპრეზიდენტო სავარძელში სწორედ მას ჩასვამენ.

ნაბიჯით იარ!



გიო ახვლედიანი სტამბოლიდან

სტამბოლი სამყაროს გულია, ოლონდაც სტამბოლის ოლიმპიური სტადიონი სამყაროს გულიდან ძალიან შორს არის და მდებარეობს დაახლოებით ისეთ ადგილას, თბილისსა და რუსთავს შორის რომ შევხვდებათ.

სტადიონიდან ბინოკლით მოჩანს უახლოესი გარეუბანი იქითელი, ხოლო იქ მიმავალს გზაზე შემოგხვდებათ სამი მანაწნალა ძაღლი და თეთრწვერა მოხუცი ცხენსაბმული ფორნით.

თუმცა იქით მიმავალი გზა დიდებულია და აქაურმა ტაქსისტებმაც დიდებულად იციან თავისი საქმე; ამიტომ, თუ ბედი გაგვიღიმებს, ევებ 20 მილიონი ლირაც ვეყოთ იქ მისასვლელად, თუ, რა თქმა უნდა, მედიაბაში არ მოხვდით. მოკლედ, არ მოიწყენ. ასეა, როცა სტადიონი დიდი ქალაქის კიდეზე, ტრიალ მინდორზე მდებარეობს.

სტამბოლს გულში ჰქონდა 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლა და ეს ბრძოლა ადრევე ნაუგია. ათათურქის ოლიმპიური სტადიონი ამ ბრძოლის წამოწყების პერიოდშია აგებული და მდებარეობს ოლიმპიურ პარკში, რომელიც ჯერ არ არის პარკი.

სტადიონი იმავ ფრანგებს აუშენებიათ, ვინც „სტად დე ფრანსით“ გაითქვა სახელი და გარშემო არსებული ცარიელი სივრცე ავტომობილების გამტარიანობის უსაზღვრო საშუალებას იძლევა, თუმცა ამ სტადიონზე საფეხბურთო ჯიგრის ჩაბუდებას ალბათ გვარიანი დრო დასჭირდება. ასეც მითხრა ერთმა კეთილმა ტაქსისტმა, ძალიან შორია, აქ რომ იყვირებ, ქალაქში ვინ გაიგებსო.

სტადიონი უკვე მზადაა და გუშინ შუადღით გახსნის რეპეტიცია ერთი ხმაურით და საუცხოოდ ჩატარდა. ჩემპიონთა ფინალი ისეთი რამ არის, რომ უეფას ყველაფერი გაზომილ-აწონილი აქვს.

გუშინ საღამოს „ლივერპულმა“ და „მილანმა“ ოლიმპიურზე ივარჯიშეს. აქ ოლიმპიურ სარბენ ბილიკს ახლა მწვანე ხალიჩა ფარავს და საერთოდაც სტადიონი სივრციანია, ხოლო ტრიბუნები ხალვათი.

ზედმეტ ლაყბობას ესა სჯობს, რომ ვთქვათ: სტამბოლისთვის ამ თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და უეფას გადაწყვეტილებაც ბევრ რამეზე მიანიშნებს მედიას. ოლონდაც ეხლა ეს მთავარი არ არის.

მთავარი თავად გუნდებია და ასევე ისიც, რომ სილვიო ბერლუსკონის სახელმწიფო ვიზიტი და პრემიერ ერდოგანთან შეხვედრა ფინალს დაემთხვა.

— რას ნიშნავს, რომ ბერლუსკონი აქ არის? — ჰკითხეს გუშინ პრესკონფერენციაზე კარლო ანჩელოტის.

პასუხი ჩვეულებრივია და ამიტომ მისით თავს არ შეგაწყენთ.

მთავარი ამბავი ეს იყო, რომ დილიდანვე ოლიმპიურზე მწვრთნელთა პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც 500-ზე მეტი ჟურნალისტი ესწრებოდა. ჯერ ანჩელოტიმ ილაპარაკა, მერე რაფა ბენიტესმა. ორივეს ახლდნენ დარჩეული ფეხბურთელები: პაოლო მალდინი, კლარენს ზეედორფი, სემი ჰიიპია და ხაბი ალონსო.

„მილანი“ ერთნაირად შავ კოსტიუმებში ჩამოვიდა სტამბოლში, მუქი მელნისფერი ჰალსტუხებით. „ლივერპული“ კი უჰალსტუხოდაა თეთრ პერანგებსა და ალისფერ სვიტრებში. თურქული და მსოფლიო პრესა ახლა ძალიან კარგად წერს „ლივერპულზე“ და მის მზადყოფნაზე. „მილანს“ კი კრიტიკა ხვდება. მაგალითად, მალდინის ასეთი შეკითხვა მიახალეს: სამი დღეა, იძახით, რომ ამ თამაშს აუცილებლად მოიგებთ. რის საფუძველზე ამბობთ ამას? თქვენი გუნდი ხომ საშინელ ფორმაშია...

მალდინიმ ისე უპასუხა, როგორც პასუხობენ ხოლმე: ამ ერთი თამაშისთვის ათასი სხვა რამ არის გადამწყვეტი და არა ის, რომ ჩვენ ბოლო თამაშებში ვერ მოვიგეთ.

ანჩელოტი „ლივერპულისგან“ დაცვიდან თამაშს ვარაუდობს. ასევე განაცხადა, მგონია, ორივე დაცვიდან ვითამაშებთ და კარგი თამაში იქნება.

კარგი თამაში, მოგეხსენებათ, გემოვნების საკითხია. დაძაბულობა კი ძალიან დიდი იქნება.

— ჩვენ არაფერს ვკარგავთ და ვიგებთ უდიდეს რამეს — ასეთი იყო რაფას ყველაზე მჭრელი სიტყვები — შევჩენკოს პერსონალურად არ დავიჭერთ. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა, რადგან „მილანს“ ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს და ყველას ერთნაირად უნდა მივხედოთ.

ორივე მწვრთნელი რაღაცით კიდეც ჰგავს ერთმანეთს. ჯერ ეს ერთი, თითქმის ტოლები არიან. 45 წლის ანჩელოტი ათი თვით უფროსია რაფაზე.

ჰიიპია კი ის კაცი ყოფილა, ვისაც ამ სეზონში ყველა ევროპული თამაშის ყოველი წუთი მოედანზე გაუტარებია და მწვრთნელსაც ხუმრობით ჰკითხეს: ამ ფინელ გოლიათს რომ რამე მოუვიდეს რას აპირებთო?

ის ნამვილი გმირი და დიდოსტატია, ასეთი იყო ბენიტესის პასუხი.

საპრესკონფერენციო დარბაზის ფანჯრებიდან კი ჩანდა, თუ როგორი ფორსირებული წესით მიმდინარეობს სამუშაოები. იყრება ხრეში, ეგება ასფალტი, სწორდება ყოველი დეტალი. თუმცა აქ არავის უთქვამს, ბუში რომ ჩამოდის, იმიტომ აგებენ ამ ყველაფერს მოწყვეტილი სტადიონის გარშემოო.

საჟურნალისტო დესანტი ტრადიციულად დიდია: ინგლისელები ყველგან და ყოველთვის ყველას სჭარბობენ აკრედიტაციების ოდენობით, ამჯერად კი საერთოდაც თავიანთი მედია-ცენტრი გაუხსნიათ. იქაც კი გაყოფაა. ლივერპულელებს კიდევ ცალკე აქვთ მთელი ამბავი.

მოკლედ, ფეხბურთელები ემზადებიან, ჟურნალისტები კი მუშაობენ. დაგვრჩნენ გულშემატკივრები, რომლებიც არცთუ ნელ-ნელა იყრიან თავს სტამბოლში და კათხიან და წითელშარფიან ტიტველ კაცებს უკვე ყველგან შეხვდებით. სულთანაჰმედშიც, ტაქსინშიც, გალათაშიც... ლივერპულელები სვამენ და მღერიან.

ისინი ყოველთვის მღერიან, მაშინაც კი, როცა 0:5 აგებენ.

გუშინ გატყობინებდით, სტამბოლში უფრო იმაზე ფიქრობენ, რომ ჩემპიონად „ფენერბაჰჩე“ შეიქნა-მეთქი. ახლაც ასეა, ყველა თურქული არხი „ფენერის“ ლურჯ-ყვითელ ფერებზეა გადალებილი. ოლონდაც ამ ამბის გახსენებას იქამდე მივყავართ, რომ საჩემპიონო ზეიმისას „ფენერის“ ფანობას გვარიანი შეხლა-შემოხლა მოუხდა პოლიციასთან, ჰოდა, „ლივერპულის“ ფანები... თუმცა, ამ შემთხვევაში შვება ის არის, რომ სანამ ოლიმპიურიდან ქალაქამდე ჩამოაღწევენ, მერსისაიდელ ფანებს იმ განთქმული სიმღერის თავი აღარ ექნებათ.

აღდგომა და დღესაო.

ამ ფენერბაჰჩე-ფენერბაჰჩე შამპიონ!!!!!!!!!-ის ძახილში კი მოვიდა ფინალის დღეც.

საკლუბო ფეხბურთის მთავარ დღეს კი გულშემატკივრისთვის ერთი რამის სურვილი თუ შეიძლება: კარგ ფეხბურთს გისურვებთ!

მითუმეტეს, ამისთვის ყველანი მზად არიან.

რა არის, რომ დაცვიდანო, თუმცა ვნახოთ. რაფა ბენიტესს ძალიან ჭკვიანი კაცის სახე აქვს.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კარლო ანჩელოტის ბევრის შემძლე კაცის იერი აქვს.

და თუ ამინდმაც ივარგა...

გუშინ, მაგალითად, სტადიონი ნისლშემოჯარული დაგვხვდა. მერე წვიმდა კიდეც, თუმც ესეც არ უშლის ხელს მის უდიდებულესობა ჩემპიონთა ლიგის ფინალს.

მოკლედ, დღეს ძველი სტამბოლიდან მოშორებით, ტრიალ მინდორზე, თეთრ, ხალვათ სტადიონზე, მშვენიერ მინდორზე...

AFP სტამბოლიდან

სემი ჰიიპიას მწვრთნელმა გმირი და დიდოსტატი უწოდა

AFP სტამბოლიდან

ვინ გამოვა თამაშგარეთ?



ვალერ ბორისოვიჩ ფოტო

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ოთხი კანდიდატიდან სამი თავის კანდიდატურას არჩევნებამდე მოხსნისო (პირველი გვერდიდან გეცოდინებათ, რომ ეს ნაბიჯი უკვე გადადგა რევაზ არველაძემ). ეს აზრი ბოლო რამდენიმე დღეა, სულ უფრო ხშირად ისმის საფეხბურთო კულუარებში. დაზუსტებით თუ ვიტყვით, ხმა მას შემდეგ დაირხა, რაც საპრეზიდენტო კანდიდატურა წამოაყენა ნოდარ ახალკაცმა.

— ჯერ არ გადამიწყვეტია, ალბათ, კანდიდატურას მოვხსნი — დაახლოებით ერთი და იგივე პასუხი აქვთ პრეზიდენტობის კანდიდატებს კითხვაზე, აპირებთ თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატურის მოხსნას და, რა თქმა უნდა, ამ კითხვის ადრესატი არ არის ნოდარ ახალკაცი.

გამოდის, ფედერაციის პრეზიდენტის ვინაობა არჩევნებამდეც თითქმის ცხადია — ნოდარ ახალკაცი. ჩვენს ვარაუდს აძლიერებს ქვეყნის პრეზიდენტის გუშინწინდელი სიტყვაც, თქმული სპორტის აკადემიაში. პრეზიდენტის გამოსვლის ქვეტექსტი ალბათ ეს იყო — საპრეზიდენტო რბოლაში ყველა ჩამოშორდეს ნოდარ ახალკაცს. ჩანს, რომ ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ხელისუფლების ფავორიტი სწორედ ახალკაცია.

დღეისთვის დაგეგმილი იყო აწ უკვე ყოფილი კანდიდატის რევაზ არველაძის პრესკონფერენცია, უახლოეს დღეებში იგივეს აპირებენ გიორგი ნემსაძე და ვლადიმერ გუცაევი — ვნახოთ, რას იტყვიან...

კობა ინასარიძე

ცქიტიშვილი დონეცკში: წასვლა აქედანაც შეიძლება

ფრაიბურგი ერთმა ქართველმა უკვე დატოვა

ბუნდესლიგიდან გავარდნილ „ფრაიბურგს“ ერთი ქართველი უკვე ჩამოშორდა: ლევან ცქიტიშვილმა გუშინწინ დონეცკის „მეტალურგთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახალი სეზონიდან უკრაინის ჩემპიონატში გიორგი დემეტრაძის მხარდამხარ ითამაშებს.

ჩვენიანი ნახევარმცველი ახალი გუნდის ხელმძღვანელობას ბარსელონაში შეხვდა და ნახევარსაათიანი საბოლოო მოლაპარაკების შემდეგ უკრაინელთა წინადადებას დათანხმდა. დღეს კი ლევან ცქიტიშვილი უკვე თბილისში ჩამოვა და დონეცკში გამგზავრებამდე აქ იქნება...

— ბუნდესლიგაშიც შემეძლო დარჩენა, „ჰანოვერი“ და მიონხენგლადბახის „ბორუსია“ მეპატიჟებოდნენ, მაგრამ უკრაინელთა პირობებმა გერმანული გადაწონა და „მეტალურგში“ გადასვლა ვამჯობინე — გვითხრა ლევან ცქიტიშვილმა — რა თქმა უნდა, ბუნდესლიგაში გაცილებით მაღალი დონეა, ვიდრე უკრაინაში, თუმც არც „ბორუსია“ და არც „ჰანოვერი“ არიან ისეთი გუნდები, მათთან თამაშის სანაცვლოდ დონეცკელთა პირობებზე უარი მეთქვა.

— გასაგებია, მაგრამ უკრაინაში წასვლით შენს კარიერას ხომ არ ავნებ?

— არა მგონია, თანაც უკრაინის ჩემპიონატიდანაც შეიძლება ისევ ევროპაში, თუნდაც რუსეთის მაღალი დონის გუნდებში გადასვლა. „მეტალურგში“ თუ ვიყოჩაღებ, კარგად ვითამაშებ, სხვა გუნდში წასვლის ვარიანტებიც იქნება. ისე კი, უკვე 28 წლის ვარ, კარიერას ახლა არ ვიწყებ და „მეტალურგში“ წასვლას ჩემი ასაკის გათვალისწინებითაც გამართლებულად ვთვლი.

— „მეტალურგში“ წასვლაზე, ალბათ, გიორგი დემეტრაძესაც დაეკითხე.

— პირველად სწორედ დემეტრაძისგან შევიტყვე, რომ „მეტალურგი“ იყო ჩემით დაინტერესებული. მერე კი, რა თქმა უნდა, გიორგის დაწვრილებით გამოვკითხე დონეცკური ამბები და საბოლოო გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მივიღე.

— „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი დამთავრებული კი გქონდა, მაგრამ მაინც, წასვლისას რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნია?

— არანაირი. კლუბმა რამდენიმე თვის წინ იცოდა, წასვლას რომ ვაპირებდი. ადრე შევთანხმდით, სეზონის დამთავრებისთანავე კლუბიდან თავისუფალი ვიყავი და პრობლემა არ მექნებოდა. ახლა კი ბარსელონიდან ფრაიბურგში ერთი დღით ჩამოვედი. ჩემოდანს ჩავალაგებ და აქაურობს დავემშვიდობები.

— „ფრაიბურგს“ ალექსანდრე იაშვილი როდის დატოვებს?

— როდის, ვერ გეტყვით, მაგრამ წასვლას რომ აპირებს და ბუნდესლიგის მაღალი დონის გუნდები ეპატიჟებიან, ეს კი ნამდვილად ვიცი. დღესდღეობით იაშვილი სხვადასხვა გუნდებთან მოლაპარაკების პროცესშია. კონტრაქტით ის ისევ „ფრაიბურგს“ ეკუთვნის, თუმც წასვლაზე პრობლემა არც მას უნდა ჰქონდეს.

— ოთარ ხიზანეიშვილი „ფრაიბურგს“ მეორე ბუნდესლიგაში გადაჰყვება?

— დიახ. ხიზანეიშვილი „ფრაიბურგში“ რჩება, თუმცა ის ჯერ ტრავმას მკურნალობს.

კობა ინასარიძე

რას იზამს კალაძე?

კახა კალაძისა და „ჩელსის“ თემა კვლავ აქტუალურია. ინგლისელი თუ იტალიელი ჟურნალისტები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტ დეტალს გამოქექავს ამ შესაძლო ტრანსფერის ირგვლივ, მაგრამ საქმე ჯერჯერობით კუს ნაბიჯებით მიიწევს წინ, ყოველ შემთხვევაში, მედიისთვის.

ახალი ისაა, რომ იტალიური პრესის მტკიცებით, „ჩელსი“ ზაფხულში ოფიციალურად მოაგვარებს კახა კალაძის ტრანსფერს და საქართველოს ნაკრების კაპიტანს სამწლიან კონტრაქტს შესთავაზებს.

გეხსომებათ, ცოტა ხნის წინ კახა კალაძემ „სარბიელთან“ ინტერვიუშიც დაადასტურა, ლონდონელებს მართლაც ველაპარაკეო, მაგრამ მას შემდეგ „ჩელსის“ სხვა არაერთი მცველიც დაუკავშირეს და თითქოს ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ლონდონელები კალაძეს შეეშვებოდნენ. პირიქით კი მოხდა — გუშინ იტალიურ გაზეთებში გაჩნდა ცნობა, რომ „ჩელსი“ კალაძის გარდა ანდრეი შევჩენკოს გადაბირებითაც სერიოზულად დაინტერესებულა და „მილანის“ უკრაინელ სუპერფორვარდს არნახული პირობები შესთავაზა — 40 მილიონი ევრო ხუთ წელიწადში. ამ სენსაციური ცნობის ავტორები იქვე ამტკიცებენ, არა გვგონია, შევჩენკომ „მილანის“ დატოვება ამ ეტაპზე გადაწყვიტოს, თუმც პერსპექტივაში ასეთი ტრანსფერი სრულიად შესაძლებელიაო.

და რას იზამს კალაძე?

კახა ზალამგერიძე

თქვენი ინტერვიუ ალენ ჟირესთან

თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ“ და „მკვლელ“ კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი“ თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს“ ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

რევაზ ლორთქიფანიძე და პაატა ბურჯალიანი

ახლა ქართული ფეხბურთისა და ჩვენი კლუბების სისუსტეზე ლაპარაკს არ დავიწყებთ. ჭირ-ვარამი დროებით გადავდოთ და 26 მაისს ეროვნული სტადიონისკენ ავიღოთ გეზი. ხვალ რვის ნახევარზე დავით ყიფიანის თასის ფინალია, ნაღდი ფინალი: „ზესტაფონი" — „ლოკომოტივი", რომელიც მოიგებს, უეფას თასზე გზა ხსნილი აქვს...

თანდარაშვილი თუ ქავთარაძე: ვისი შოუ აჯობებს?

ლოკომოტივი — ზესტაფონი მხიარულად იწყება

ძაან აჟიოტაჟი წაიმძღვარა ამ თამაშმა. გუშინ ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენმდივან რევაზ ლორთქიფანიძესთან და პრესატაშე პაატა ბურჯალიანთან ერთად შოუ-ბიზნესის ცნობილი სახეები — „შაბათის შოუდან" გოჩა თანდარაშვილი და „ნიკას შოუდან" ნიკა ქავთარაძე მოვიდნენ.

აი, ამბავი: თანდარაშვილი „ლოკომოტივის" გულშემატკივარია, ქავთარაძე კი... ისედაც იცით. ორივეს თავ-თავიანი ფავორიტი გუნდების მთისურები ემოსა, ფეხბურთი შოუ არ არის, მაგრამ მოსახლეობისთვის საყვარელი პიროვნებების ქომაგობა, დიახაც, ლამაზ ფონად გაჰყვება ხვალინდელ ფინალს.

ლორთქიფანიძემ და ბურჯალიანმა აღნიშნეს, რომ პროფლიგა ყველანაირად ცდილობს სტადიონებზე მაყურებლის მოზიდვას, ნიკასა და გოჩას სახით კი ამ საინტერესო ფინალს დამატებითი ხიბლი შეემატება.

„ტკბილი და მურაბა" ქავთარაძე „ზესტაფონის" ფეხბურთელებსაც შეხვედრია. ისეთი მოტივირებულები არიან, ვერმოგება ვერც კი წარმომიდგენიაო:

„უკვე იცით, რომ ზესტაფონიდან ერთი მატარებლით და რვა ავტობუსით ჩამოვლენ გულშემატკივრები. ეს რაც უფასოა, თორემ კიდევ ბევრი ჩამოვა და ბევრიც თბილისში მცხოვრები ზესტაფონელი მოვა სტადიონზე. 26 მაისს თუ მოვიგეთ, ჩემს მშობლიურ ქალაქში დიდი გადატრიალება მოხდება როგორც სპორტის, ისე სხვა კუთხითაც. მე და გოჩას ქომაგებთან ახლო ურთიერთობა გვექნება. ძალიან გვინდა, ფანების სათავეში ვიყოთ და ხალისი შევმატოთ ტრიბუნებს. ბუნებრივია, ხალხიც უნდა დაგვეხმაროს".

გოჩა თანდარაშვილი იმედოვნებს, რომ ტრიბუნებზე დადებითი აურა დაისადგურებს და ჩხუბი და არეულობა არ იქნება:

„მე და ნიკას ფეხბურთი, განსაკუთრებით კი ქართული ფეხბურთი, ძალიან გვიყვარს. თამაშზე მარტო ზესტაფონელები კი არა, ვაკელები და ვერელებიც უნდა მოვიდნენ, რადგან „ლოკომოტივი" მათ უბანში თამაშობს. ვიცი, ბილეთები უკვე ინტენსიურად იყიდება და ნეტავ ისე მოხდეს, სულაც ტაციაობა იყოს მატჩის დღეს".

ნიკა და გოჩა პროგნოზებს მოერიდნენ. უბრალოდ, ზესტაფონელმა ტელეწამყვანმა აღნიშნა, ჩვენი კლუბისთვის და კერძოდ, ქალაქისთვის უფრო დიდი მოვლენა იქნება თასის მოგება, ვიდრე „ლოკომოტივისთვისო".

მაინც როგორი იქნება შოუ? შოუ-ბიზნესის სახეებმა თქვეს, ისეთი პომპეზური სანახაობა, ოლიმპიადებზე რომ ბუშტებს უშვებენ და ვიღაცა ყუთში ძვრება, არ იქნება, მთავარია, განწყობა იყოს კარგიო.

„ქართული ფეხბურთი ყველა შოუზე მაღლა დგას" — განაცხადეს ქავთარაძემ და თანდარაშვილმა.

და კიდევ, ტრიბუნებზე შოუ-ბიზნესის სხვა სახეებსაც ვიხილავთ, თუმც „ზესტაფონის" და „ლოკომოტივის" ფანთა მეთაურებს მათი სახელები არ დაუკონკრეტებიათ. მატჩის წინ ანსამბლი „მართვე" საქართველოს ჰიმნს ცოცხლად შეასრულებს, რაც უფრო დამუხტავს ფეხბურთელებს.

ერთი დღეც და, ვნახოთ, „შაბათის შოუ" აჯობებს თუ „ნიკა ქავთარაძის შოუ"...

აქვე დავამატებთ, რომ დღეს, 15 საათზე, ფინალისწინა პრესკონფერენცია გაიმართება, საღამოს კი ფინალისტები „ეროვნულზე" ივარჯიშებენ.

ილია ნანობაშვილი

ინტერტოტოს თასზე საქართველოდან ბოლოს გორის „დილამ" ითამაშა

ინტერტოტო აქეთურ-იქითურად

საქართველოს და უნგრეთის ჩემპიონატების დასრულებამდე ერთადერთი ტური დარჩა. იფიქრებთ, სად საქართველო და სად უნგრეთიო, მაგრამ ამ ქვეყნების გუნდები ინტერტოტოს თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ხვდებიან ერთმანეთს და ჩვენი ინტერესიც აქედან მოდის.

მართალია, ჯერ ყველაფერი არ არის გარკვეული, თუმც რაღაც კონტურები უკვე არსებობს. კერძოდ, საქართველოდან ინტერტოტოზე მესამეადგილოსანი, ანუ „თბილისი" ან ქუთაისის „ტორპედო" გავა (გააჩნია, როგორ ითამაშებენ ისინი ბოლო ტურში), უნგრეთიდან კი „ასეთი პატივი" ერთბაშად ოთხ გუნდს აქვს — „ფერენცვაროში", მტკ, „უიპეშტი", „დიორი" — ამ ზაფხულს ამათგან ერთი გვესტუმრება. საქართველოში ჩამოსვლის ყველაზე ნაკლები შანსი „ფერენცვაროშს" და მტკ-ს აქვთ, რომლებიც 53-53 ქულით მეორე-მესამე ადგილებზე არიან, ქულით ნაკლები აქვს „უიპეშტს", მეხუთეზე კი „დიორია" 51 ქულით.

ასე რომ, ბოლო ტურში ყველაფერი გაირკვევა: აქაც და იქაც...

ძახა შალამბერიძე

ტორპედომ ლიცენზია ჩაიხუტა

ერთი თვის წინ ქუთაისის „ტორპედო“ ევროტურნირებისთვის თითქმის გამოტირებული ჩანდა. იმერლებს ლიცენზიის მიღების მცირე შანსი ჰქონდათ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სალიცენზიო კომიტეტისგან ვერც მიიღეს. თუმც „ტორპედომ“ სფფ-ის სააპელაციო კომიტეტში შეიტანა განცხადება და საბოლოოდ სანადელს მიაღწია...

მოგეხსენებათ, იმერული კლუბის ანგარიში დაყადაღებულია და „ტორპედოს“ ამის გამო სასამართლოში აქვს სარჩელი შეტანილი. სანამ სასამართლო განაჩენს გამოიტანს, „ტორპედოს“ დროებითი ლიცენზია ეკუთვნის — ასე გადაწყვიტა სფფ-ის სააპელაციო კომიტეტმა.

30 მაისს ფედერაცია უეფაში გააგზავნის ლიცენზირებული კლუბების სიას. სფფ-ის კლუბების ლიცენზირების კომიტეტის წევრი ნოდარ ჩოლარია ამბობს, რომ „ტორპედოს“ საქმეზე უეფას პრეტენზია არ ექნება, რადგანაც ისინი არ კრძალავენ ყადაღადადებული კლუბებისთვის ლიცენზიის მიცემას, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კლუბს სასამართლოში აქვს დავა. ჩოლარიამ ისიც გვითხრა, თუ სასამართლომ გაამტყუნა „ტორპედო“ და დაადგინა, რომ მათ მართლაც ფული აქვთ გადასახდელი, მაშინ კლუბს ავტომატურად ჩამოერთმევა ლიცენზიაო.

ქუთაისელებს მხოლოდ ფინანსური კრიტერიუმი ჰქონდათ მოუწესრიგებელი, მაგრამ მათ ეს საბუთებიც წარმოადგინეს, ყადაღა კი ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორი არ არის. ეგაა, სანამ „ტორპედოს“ ანგარიში დაყადაღებულია, კლუბი ოფიციალურად ვერ უხდის ხელფასს ფეხბურთელებს, თუმც მოთამაშენი ამის გამო არ უჩივიან „ტორპედოს“ ხელმძღვანელობას — აი, არსი, რამაც „ტორპედოს“ ევროპისკენ მწვანე აუნთო. იმერლები ან უეფას თასზე გავლენ ან ინტერტოტოზე, ან სულაც ჩემპიონთა ლიგაზე. ეს ამბავი 30 მაისს, საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში გაირკვევა.

„ტორპედოს“ მსგავსად, სასიკეთოდ გადაწყდა „თბილისის“ ლიცენზირების ამბავიც. ამ კლუბსაც ფინანსურ კრიტერიუმში უჭირდა, თუმც ქუთათურებთან შედარებით იოლად მოსაგვარებელი საკითხები ჰქონდა დარჩენილი.

ამგვარად, წლევანდელი სალიცენზიო რია-რია დასრულდა: 14 მსურველი კლუბიდან რვამ გაარღვია ჯებირი. ესენი არიან — „ლოკომოტივი“, „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ამერი“, „ზესტაფონი“, „სპარტაკი“, „თბილისი“ და „ტორპედო“ არიან.

ილია ნანოგაშვილი

გაფდრილ კეთილაძის ფოტო

ლანჩხუთელებს ბოლო გოლი რატი წინამძღვრიშვილმა გააყოლა

ბაბანურ ოფოლაძის ფოტო

ზოგის დელია ოდინდელია

ძველი უმაღლესლიგელი ახალთან დაიჩაგრა

თამაში ისე დაიწყო, მეშვიდე წუთისთვის „ამერს“ რამდენიმე-ბურთიანი უპირატესობა უნდა ჰქონოდა: პირველ წუთზე სულიკო დავითაშვილი ქუსლით ეცადა მეკარის ბაქნიდან გატანას. სამ წუთში მასვე ჰქონდა საუკეთესო საგოლე შანსი, მეშვიდეზე კი ალექსანდრე კაიდარაშვილმა ვერ გამოიყენა არანაკლები მომენტი.

მაგრამ ამ საწყის წუთებში გოლი მაინც გავიდა: გიორგი დეკანოსიძის პასით დავით სევასტოპულომ გაიტანა ამ სეზონში თავისი მეთხუთმეტე გოლი.

აქ ერთი წუთით შევჩერდეთ და ცხრილს გადავხედოთ. „ამერი“ უკვე უმაღლესლიგელია და გასარკვევი ისღა დარჩა, მეორე ადგილზე დაასრულებს სეზონს თუ პირველი ლიგის ჩემპიონი გახდება. „გურიას“ ამოცანა უფრო მოკრძალებულად გამოიყურება — ოდინდელი საკავშირო უმაღლესლიგელი უბრალოდ სეზონის ჩამთავრებას ელის. თუმცა მიზანთა ამგვარი სხვაობის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, გურულებმა უბრძოლველად დათმეს თამაშიო.

სასტარტო შტურმის მერე „ამერი“ ცოტა მოეშვა და მომდევნო გამოსარჩევი იერიში მხოლოდ 32-ე წუთზე მოაწყო: დავითაშვილმა ლამის ნახევარი გუნდი მოატყუა, მაგრამ საბოლოო დარტყმა ძლიერი არ გამოუვიდა და მეკარემ აუღო.

თუმცა „აბრეზამ“ მაინც გაიტანა თავის გოლები, მარაგი 27-მდე შეივსო და კვლავაც ლიგის მთავარმეგოლედ რჩება.

ამერელებმა მეორე გოლი პენალტით გაიტანეს — სტუმრებმა საჯარიმოში ამირან კედელაშვილი წააქციეს, დარტყმა კი დავითაშვილმა ითავა.

ტაიმის ბოლოსწინა წუთზე დავითაშვილმა მეორეც გაიტანა გიზო ჯელაძის პასით, მაგრამ სადაც სამართალია, ამ საგოლე კომბინაციაში სევასტოპულოც უნდა მოვიხსენიოთ — ბურთი აუტზე გადადიოდა, სევასტოპულომ კი ზედ ხაზიდან ნახტომში ქუსლით დააბრუნა მოედანზე, რის მერეც ბურთი გიზო ჯელაძესთან მივიდა, მან კი, როგორც უკვე ვთქვით, დავითაშვილს საგოლე პასი მიართვა — 3:0.

„გურიას“ პირველ ტაიმში ერთადერთი კარგი მომენტი ჰქონდა — ტარიელ კუკულაძის ჩაწოდებულს ანდრია განევი შორეულ ძელთან დაუხვდა, მაგრამ ბურთი კარს გარედან გაარტყა. საეროოდ კი, გურულები თავიდან შეტევაში მხოლოდ ტარიელ კუკულაძის იმედად იყვნენ, მაგრამ მარტოკაცი ვერაფერს ხდებოდა. ანდრია განევის შესვლის მერე კი მათმა იერიშებმა მეტი სიმძაფრე შეიძინა.

მეორე ტაიმი წამების დაწყებული გახლდათ, როცა კუკულაძემ ამერელი მცველების მყისიერი ჩაძინებით ისარგებლა და რევაზ ნაჭყებიასთან პირისპირ დარჩენილმა ერთი საპასუხო გაიტანა. მაგრამ ამ ვოლეის ბერრულებს ვერაფერი შეესწრო და დარჩენილ დროში ნაჭყებია ძალიან ორჯერ შეაწუხეს — ოთხივეჯერ საჯარიმო ტარტყმით, რომლებიც კარგად კი იყო შესრულებული, მაგრამ გამოცდილი მეკარისთვის ადვილი არ ეთქმოდა.

ხოლო მასპინძლებმა საბოლოოდ ტაიმი მარაგს კიდევ ორი გოლი შემატეს. ჯერ ვიხო ჯელაძემ ეკიტანა შორიდან, მეხუთე კი შეიარაღებზე შესულმა რატი წინამძღვრიშვილმა შეაგდო შეცვლაზე შესულ მირზა ბაჟლავას პასით.

ბოლოს კი შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საქმეს ისეთი ბირი უჭირს, პირველი ლიგის ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში „ამერისა“ და „ძველ ჯომის“ თბილისური შეხვედრა გაირკვევა.

კოტე კეკელია

თბილისი 24 მაისი 7 საათ 30 წთ ამერის სკოლა. 350 მაყურებელი

ამერი 5:1 გურია

1:0 სევასტოპულო (2), 2:0, 3:0 დავითაშვილი (34 პენ, 44), 3:1 ტ. კუკულაძე (46), 4:1 გ. ჯელაძე (51), 5:1 წინამძღვრიშვილი (78)

ამერი: ნაჭყებია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი (ბერიანიძე 46), ზ. ჯელაძე, დეკანოსიძე, სილაგავა (ბუალავა 61), გ. ჯელაძე, კაიდარაშვილი, დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 69), სევასტოპულო

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გურია: ჩომახიძე, რ. კუკულაძე, გუჯაბიძე, ფაცურია, ებრალიძე, მგელაძე (ან. განევი 22), თოფურია (ჩახვაძე 73), სულაქველიძე, გურამ იმნაიშვილი, ენდელაძე (ალ. განევი 46), ტ. კუკულაძე

მწვრთნელი: თემურ ლორია

მსაჯები: გ. ასკაროლი; ლ. თოდრია, ე. ნარმანია; ლ. ფანიაშვილი

ცხინვალი 2:3 ბორჯომი

კახეთი 3:1 ჩიხურა

ივერია 2:1 ვიტ ჯორჯია

ოლიმპი 1:0 მილანი-მერანი

დინამო 2 5:2 მალაროელი

სპარტაკი 2:1 საგარეჯო

ლოკომოტივი 2 1:1 რუსთავი

ბორჯომი	28	22	3	3	71:31	69
ამერი	28	21	3	4	86:16	66
სპარტაკი	28	16	8	4	47:28	56
კახეთი	28	15	4	9	48:38	49
ვიტ ჯორჯია	28	14	7	7	40:24	49
დინამო 2	28	15	1	12	61:46	46
ცხინვალი	28	13	4	11	37:34	43
ჩიხურა	28	10	7	11	30:33	37
გურია	28	10	7	11	29:41	37
ლოკომოტივი 2	28	9	7	12	31:39	34
რუსთავი	28	9	6	13	33:38	33
ოლიმპი	28	9	5	14	32:41	32
ივერია	28	9	5	14	27:42	32
მერანი	28	8	4	16	34:47	28
საგარეჯო	28	4	5	19	25:63	17
მალაროელი	28	0	4	24	14:84	4

რა? 70 მილიონი?!

რეალმა იბრაჰიმოვიჩი საეჭვოდ შეაფასა

ჟორჟებს თუ ვენდობით, მადრიდის „რეალს“ „იუვენტუსისთვის“ ზლატან იბრაჰიმოვიჩის სანაცვლოდ დაახლოებით 70 მილიონი ევრო შეუთავაზებია, მაგრამ უშედეგოდ. თავდაპირველად ამბობდნენ, „სამეფო კლუბი“ 50 მილიონს იხდისო. ახლა კი ეს თანხა 20 მილიონით გაიზარდა.

„ჩვენ არ ვადასტურებთ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოსდა „იუვენტუსს“ იბრაჰიმოვიჩის სანაცვლოდ 70 მილიონი შევთავაზეთ. „რეალს“ ამ ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკება არ დაუწყია“ — ნათქვამია მადრიდელთა ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მიუხედავად ამისა, იტალიურ-ესპანური ჟურნალ-გაზეთები ჯიუტად ირწმუნებიან, „რეალს“ შვედი ფორვარდის შეძენა უნდა და ხელი ჯერაც არ ჩაუნერეია. შეგახსენებთ, რომ მადრიდელები „იუვენტუსის“ მეორე ფეხბურთელს, ემერსონსაც უტრიალებენ, თუმც წარმატების მიღწევის არც ისე დიდი შანსი აქვთ, რადგანაც „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელებმა კატეგორიულად განაცხადეს, ემერსონი და იბრაჰიმოვიჩი არ იყიდებიან, „დელე ალპიზე“ რჩებიანო.

გიორგი კაკაბაძე

ჩემი ორი, შენი ერთის სანაცვლოდ

ფერნანდო ტორესს ბარსელონაში ელიან



მადრიდელი „ატლეტიკოს“ 21 წლის ვარსკვლავი ფერნანდო ტორესი მომავალ სეზონში სავარაუდოდ, კატალონიურ „ბარსელონაში“ ითამაშებს.

ესპანური გაზეთების — „ელ მუნდო დეპორტივო“, „ასი“ — ცნობით, კატალონიური კლუბის თავკაცობამ მადრიდელ კოლეგებს სერიოზული წინადადებით უკვე მიმართა, სადაც ტორესის სანაცვლოდ „ბარსა“ „ატლეტიკოს“ ორი ფეხბურთელის, ხუან რომან რიკელმესა და ხავიერ სავიოლას დათმობას შეპირდა. მოგეხსენებათ, რიკელმეცა და სავიოლაც ჯერჯერობით „ბარსელონას“ საკუთრებაში არიან და ორივე მიმდინარე სეზონში შესაბამისად, „ვილიარეალსა“ და ფრანგულ „მონაკოში“ არიან იჯარის წესით განათხოვრებულნი.

„ბარსელონას“ სეზონის ბოლოს სავარაუდოდ, არგენტინელი ფორვარდი მაქსი ლოპესიც დატოვებს — თუ ტორესი გადავიდა, მაქსის მასთან, სამუელ ეტოოსთან და ჰენრიკ ლარსონთან კონკურენცია ძალიან გაუჭირდებაო. მაქსი ლოპესის მომავალ გუნდად კი ზემოხსენებული გაზეთები სანტანდერის „რასინგს“ და „ვილიარეალს“ ასახელებენ.

ლადო ხომერიკი

ტოტი რომაში დაბერდება



იტალიური პრესა ირწმუნება, რომ „რომამ“ ფრანჩესკო ტოტისთან ახალი კონტრაქტის პირობები შეათანხმა, რაც იმას ნიშნავს, რომ დედაქალაქელთა კაპიტანი „სტადიო ოლიმპიკოზე“ 2011 წლამდე დარჩება და ხელფასის სახით სეზონში 3,5 მილიონ ევროს მიიღებს. როგორც ამბობენ, ოფიციალურად ამ ინფორმაციას კვირის ბოლოსთვის გაახმაურებენ. 2011 წელს ტოტი 35 წლისა იქნება და სავარაუდოდ, კარიერას მშობლიურ გუნდში დაასრულებს.

ბუნებრივია, გამორიცხა მისი „რეალში“, „მილანსა“ და „ჩელსიში“ გადასვლის შესაძლო ვარიანტებიც. შეგახსენებთ, რომ იტალიელის სახელს აქამდე სწორედ ამ სამ კლუბს უკავშირებდნენ.

ამ ყოველივეს თაობაზე კომენტარი, ცხადია, გააკეთა „რომას“ ერთ-ერთმა მფლობელმა როზელა სენსიმაც: „სეზონი ფაქტობრივად, დასრულდა და ახლა მომავალზე ფიქრის დროა. ჩვენ გარკვეული გეგმები გვაქვს და მუშაობა უკვე დაწყებულია. კვირის ბოლოს კიდევ ერთ განცხადებას გავაკეთებ და იმედია, გულშემატკივრებს გავახარებ“.

ხოლო ვისზეა საუბარი სენიორა როზელა, უკვე მშვენივრად იცით.

გიორგი კაკაბაძე

პორტუ ადრიანსემ ჩაიბარა



პორტუგალიური „პორტუს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — მოგეხსენებათ, ჩემპიონთა თასის აწ უკვე ყოფილი მფლობელი ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, რითაც უკმაყოფილო კლუბის თავკაცობამ ჯოზე კოუსეირუს თანამდებობა მაშინვე დაატოვებინა. დაატოვებინა და „პორტუს“ შეფებმა კო ადრიანსე, ჰოლანდიური „ალკმაარის“ ყოფილი დამრიგებელი მიიწვიეს. ადრიანსემ, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„კო ადრიანსე ძლიერი მწვრთნელია. ვიმედოვნებთ, რომ მისი დახმარებით მომავალ სეზონში დიდ წარმატებებს მივაღწევთ. ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეში მტკიცედ ვართ დარწმუნებული“ — აღნიშნა ნუნუ პინტუ და კოშტამ, „პორტუს“ პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბარში.

შეგახსენებთ, კო ადრიანსე „ალკმაარში“ 2002-03-ის სეზონში მივიდა. იქამდე კი ამსტერდამის „აიაქსში“ მოღვაწეობდა ორი წლის მანძილზე. ხოლო ეს სპეციალისტი საერთოდ, საფეხბურთო ევროპამ „ტილბურგში“ მუშაობით გაიცნო და იმ დროს ადრიანსე თავის გუნდს თბილისშიც კი ჩამოუძღვა ჩვენს „დინამოსთან“ სათამაშოდ.

ლადო ხომერიკი

იტალიის ნაკრების კაპიტანმა ფაბიო კანავარომ აღნიშნა, რომ შესაძლოა, რამდენიმე წელიწადში „ნაპოლიში“ დაბრუნდეს და კარიერა იქ დაასრულოს. „ყველა ნეაპოლელისთვის მშობლიურ კლუბში თამაში ყველაფერზე მაღლა დგას. იმედია, გუნდი მალე დაბრუნდება ელიტაში და დიდი შანსია, „ნაპოლის“ მაისურა კვლავ მოვირგო“ — განაცხადა 31 წლის მცველმა.

ფრანგული „ნიცას“ თავკაცი მომავალი სეზონიდან ფრედერიკ ანტონეტი იქნება. 44 წლის სპეციალისტმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი აქამდე „ბასტიას“, „სენტ ეტიენსა“ და იაპონურ „გამბა ოსაკას“ წვრთნიდა.

ინგლისური „მანჩესტერი“ სავარაუდოდ, თავის ჩრდილოირლანდიელ მეკარე როი კეროლთან კონტრაქტს 2009 წლამდე გაახანგრძლივებს. ცოტა ხნის წინ 27 წლის ფეხბურთელი „წითელი ეშმაკების“ თავკაც სერ ალექს ფერგიუსონს შეხვდა და მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ თანამშრომლობას გააგრძელებენ.

იტალიური „იუვენტუსის“ გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, რომ კლუბი ანტონიო კასანოს არ იყიდის. „ამის ორი მიზეზი არსებობს, ჯერ ერთი, დარწმუნებული ვარ, რომ ამ სეზონის ბოლოს იგი „რომას“ არ დატოვებს. თანაც ჩვენ უკვე საუკეთესო ფეხბურთელები გვყავს და ასეთი ტრანსფერების აუცილებლობას ვერ ვხედავ“ — აღნიშნა მოჯიმ.

გერმანულ „ბოხუმს“ ახალი თავკაცი ჰყავს — პეტერ ნოიერერერის ადგილს „კიოლნის“ ყოფილი მწვრთნელი მარსელ კოლერი დაიკავებს. შვეიცარიელი სპეციალისტის მთავარი ამოცანა გუნდის ბუნდესლიგაში დაბრუნება იქნება.

რუსული „ზენიტის“ კაპიტანი ვლადისლავ რადიმოვი „შინიკთან“ შეხვედრისას დაშავდა. დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ სანკტპეტერბურგელთა ექიმებმა აღნიშნეს, რომ გუნდს მის გარეშე დაახლოებით ერთი თვე მოუწევს ბურთაობა.

შვედეთის ნაკრებისა და „არსენალის“ ნახევარმცველმა ფრედი ლიუნგბერგმა სპორტული ინვენტარის მწარმოებელ ცნობილ ფირმა **PUMA**-სთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ ხნის განმავლობაში იგი „პუმას“ ბუცები ითამაშებს და სეზონში 1,5 მილიონ კორვანქას მიიღებს.

იტალიური „ლეჩეს“ თავკაცმა ზდენეკ ზემანმა „პალერმოს“ მხრიდან ინტერესი დაადასტურა და სიცილიურ კლუბში გადასვლა არ გამორიცხა. „პალერმო ჩემი მეორე ქალაქია პრაღის შემდეგ, იქ დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი. რაც შეეხება „ლეჩეს“, გუნდის უფროსობისგან ახალ კონტრაქტზე ჯერ არაფერი ისმის“ — თქვა ჩეხმა სპეციალისტმა.

ინგლისური „ევერტონი“ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და გუნდი აქედანვე ფიქრობს გაძლიერებაზე. ლივერპულელებმა სკოტ პარკერის სანაცვლოდ „ჩელსის“ 6 მილიონ კორვანქა შესთავაზეს და პასუხი ჯერ არ მოუღიათ. შეგახსენებთ, რომ 24 წლის ნახევარმცველი ლონდონელთა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება.

ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა „ჰამბურგში“ გადასვლა გადაწყვიტა. „აიაქსი“ კი მის სანაცვლოდ დაახლოებით 6-7 მილიონ ევროს მიიღებს. „პირადად მე კონტრაქტის დეტალები უკვე შევათანხმე, ტრანსფერი მაშინ შედგება, როცა უშუალოდ კლუბები მოილაპარაკებენ საბოლოოდ“ — განაცხადა 22 წლის ფეხბურთელმა.

ესპანური „რეალი“ ბრაზილიელ ნახევარმცველ რიკარდინიოთი დაინტერესდა. ფეხბურთელმა გასული სეზონის ნახევარი „მილანბროში“ გაატარა, მაგრამ წარუმატებლად, ამჟამად იგი „სანტოსში“ ირიცხება. როგორც ამბობენ, რიკარდინოს შეძენა მადრიდელთა ასევე ბრაზილიელ თავკაც ვანდერლეი ლუშემბურგოს სურს.

არგენტინული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა დიეგო არმანდო მარადონა ეგებ კიდევ ერთხელ ვიხილოთ მინდორზე — 9 ივნისს მის მეგობარ ჩირო ფერარას გამოსათხოვარი მატჩია, რომელიც ნეაპოლში გაიმართება. ამ შეხვედრაზე ვეტერანმა იტალიელმა მარადონაც დაპატიჟა და იმედი აქვს, რომ მის თანხმობას მიიღებს.

ინგლისური „ლივერპულის“ ჩეხ ფორვარდ მილან ბაროშის თქმით, არ არის გამორიცხული, „მილანთან“ მატჩი მისთვის ბოლო აღმოჩნდეს მერსისაიდელთა რიგებში. „ძალიან ხშირად ვერ ვხვდები ძირითად შემადგენლობაში, რაც არ მომწონს. სხვადასხვა კლუბებისგან რამდენიმე საინტერესო წინადადება უკვე მივიღე და ჩემს აგენტს ვთხოვე, ისინი განიხილოს“ — თქვა 23 წლის თავდამსხმელმა.

გერმანული „კიოლნი“ მომავალ სეზონს კვლავ ბუნდესლიგაში გაატარებს და გუნდის უფროსობამაც გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა. „კიოლნის“ პირველი შენაძენი შესაძლოა, ბელგიელი მცველი იოს ვალგაერენი გახდეს. 29 წლის ფეხბურთელს „სელტიკთან“ კონტრაქტი უმთავრდება და მალე თავისუფალი აგენტი გახდება. მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

ესპანური „ვილიარეალის“ თავდამსხმელმა ხოსე მარიმ, ყოფილი თანაგუნდელი კრისტიან აბიატი თავის გუნდში დაპატიჟა. ხოსე მარიმ სურვილი „ვილიას“ შეფობასაც გაანდო. შეგახსენებთ, აბიატის „მილანიდან“ წასვლა რა ხანია სურს, ხოლო ხოსე მარი „მილანში“ რამდენიმე წლის წინ თამაშობდა და ახლა მეგობარს დახმარების ხელს უწვდის.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

İstanbul
The Final 2005

FAN OF THE YEAR
presented by AMSTEL

დღეს. სტამბოლი. „ათათურქი" (ტევადობა 80 597). 22.45
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

მილანი vs ლივერპული

ათათურქის სახელობის სტამბოლის ოლიმპიური სტადიონი უნიკალურია

მაკარისა და ზუბლენას სასწაული იქითელში

მუსიე მიშელ მაკარი და მუსიე აიმერიკ ზუბლენა ის არქიტექტორები გახლავან, რომელთაც პარიზში „სტად დე ფრანსი" აავეს და ამ ნაგებობით ისე მოხიბლეს სტამბოლელები, რომ 2012 წლის ოლიმპიური მასპინძლობის მოიმედეებმა, ახალი სარბიელის წამოსაჭიმად მათ მიმართეს. შემდეგ გაირკვა, რომ სტამბოლი 2012 წლის ოლიმპიადას არ უმასპინძლებს, ქალაქს კი 126 მილიონ დოლარად აგებული დიდებული სტადიონი დარჩა, რომელზედაც დღეს ჩემპიონთა თასის ფინალი გაიმართება.

რა ხელწერა აქვთ ზემოთ დასახელებულ არქიტექტორებს? მაი დიდ და ზეთანამედროვე ოლიმპიურ სარბიელთან მრავალფუნქციური სახალხო სპორტნაგებობის შერწყმა ეხერხებათ — ამ საქმეში უბადლონი არიან. ერთი სიტყვით, ლიგის ფინალი და პროფესიული სპორტის მწვერვალები ცალკე იყოს და „ათათურქის" არსებობა ჩვეულებრივ სტამბოლელებს წაადგებათ და თან როგორ.

სტადიონი ხუთვარსკვლავიანია. **IAAF**-მა ანუ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ მას „პირველი კლასის სამძლეოსნო ნაგებობა" უწოდა, ხოლო უეფას რომ „ათათურქი" ძალიან მოსწონს, ეს უკვე ვიცით.

კიდევ რა პლუსები აქვს სტადიონს, რომელზეც დღეს ჩემპიონთა თასის მორიგი მფლობელის ვინაობა გაირკვევა? რა და, მაგალითად ის, რომ იგი ქალაქის გადატვირთულ ცენტრში არ მდებარეობს, რაც ისეთი მასშტაბების მეგაპოლისისთვის, როგორიც სტამბოლია, ძალიან ბევრს ნიშნავს. ერთი სიტყვით, ოლიმპიური სტადიონის გარშემო ქალაქი სუნთქავს, არის ფართობი — 584 ჰექტარიანი ოლიმპიური პარკი, რაც თავის მხრივ „ათათურქის" სამომავლო პერსპექტივაზე მეტყველებს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ აქ, რაიონში, რომელსაც იქითელი ჰქვია, ტრანსპორტი ცენტრიდანაც კარგად მოძრაობს და ათათურქის სახელობის აეროპორტიდანაც. სტადიონის დამპროექტებლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათ ნაგებობას გარემო არ შეუცვლია, პირიქით, ქალაქის ამ ნაწილის განვითარებას და გამწვანებას შეუწყობს ხელს.

ახლა კი შიგნითაც შევიხედოთ. დავიწყოთ მოედნით. „ათათურქის" სტადიონზე მოედანი ზომით 110X73 მეტრია, გახლავთ უკიდურესად სწორი და თანაბარი. ბალახი ბუნებრივია, გრუნტში ჩამონტაჟებულია ავტომატური მორწყვის სისტემა.

მოედნის გარშემო სარბენი ბილიკები და არასაშეჯიბრო ზოლია. სარბენი ბილიკები სიგანით 9.75 მეტრია, მთელი საშეჯიბრო ფართობი კი უმაღლესი ხარისხის დრენაჟზე გახლავთ გაფენილი, ასე რომ, შეჯიბრების ჩატარება ნებისმიერ ამინდში შეიძლება, სარბიელს დატბორვა არ ემუქრება.

საფეხბურთო კარი, ბუნებრივია, მეტალის არ არის და საერთოდაც, როგორც მოედანზე, ასევე სარბენ ბილიკებზე, სპორტსმენთა უსაფრთხოების მიზნით ბალახიც კი დამუშავებულია — საჩხვლეტს, სანთლით რომ ეძებოთ, ვერაფერს იპოვნით.

გასახდელებშიც შევიხედოთ. „ათათურქზე" სხვადასხვა დანიშნულების გასახდელებია, ეგრეთწოდებულ ნულოვან ზონაში განთავსებული. ოთხი გასახდელი ფეხბურთელებისთვისაა, ექვსი მძლეოსნებისთვის, ხოლო კიდევ ოთხი სათადარიგო მოედნებს ემსახურება.

ყოველ გასახდელში არის გრძელი ჯაკუზი, ცივი და ცხელი წყლის თოთხმეტი შხაპი, მასაჟის ოთახი, სამი ტუალეტი და ამისგან ცალკე, ოთხი ეგრეთწოდებული თურქული საპირფარეშო ანუ პისუარები. აქ აღარ შევჩერდებით იმაზე, რომ გასახდელებში მრავლადაა სარკეები, თმის საშრობები და სხვა ამდაგვარი მომსახურეობები. საგანგებოდაა ნაფიქრი გასახდელების იატაკზეც, რათა თავიდან აიცილონ ფეხის დაცდენა. ცხადია, არის კარადები და ინდივიდუალური სავარძლები 25 პერსონაზე. ის, რომ კედლებზე ტაქტიკის დასახაზი დაფებია მწვრთნელთათვის დაკიდებული, შეგვეძლო არც გვეთქვა.

მაგრამ, შეჯიბრებებს მონაწილეთა გარდა ჰყავს მსაჯებიც და თან სხვადასხვა სქესის, ასე რომ, „ათათურქის" ნულოვან ზონაში არის ორი საგანგებო, 60 კვადრატულ მეტრიანი გასახდელი არბიტრთათვის, თავისი ოფისით. აქაურ თმის საშრობების და ოფის-მოწყობილობების ჩამოთვლით თავს აღარ შევაწყენთ.

ამ ყველაფერს შეგიძლიათ დაამატოთ სამედიცინო პუნქტები და დოპინგ-ტესტირების ოთახი, პლუს ფეხბურთელთა ორ გასახდელს შორის მოთავსებული 115 კვადრატულ მეტრიანი გასახურებელი დარბაზი შეჯიბრების მონაწილეთათვის. დარბაზში დაგებულია უმაღლესი ხარისხის საფარი და მთელ სივრცეზე ჰაერიც საუცხოოდ იწმინდება და ტემპერატურაც შესაბამისი დგება.

ალბათ ხვდებით, რომ სპეციალური დანიშნულების ზონები და სათავსოები კიდევ მრავლადაა სტამბოლის ოლიმპიურ სტადიონზე, მაგრამ მოდით, ისინი გამოვტოვოთ და ტრიბუნებზე გადავინაცვლოთ. ნაგებობის საერთო ტევადობაა 80 597. დავანაწევროთ: ჩრდილოეთ ტრიბუნაზე ეტევა 13 335, იმდენივე სამხრეთის ტრიბუნაზეც; დასავლეთის ტევადობაა 27 763, ხოლო აღმოსავლეთისა 26 164 კაცი. და ამისა, არის ინვალიდთა 400 ადგილი.

ტრიბუნებზე მოხვედრა და მათი დატოვება 33 გასასვლელიდან შეიძლება და ეს გასასვლელები ისეა განლაგებული, რომ მოძრაობა მოხერხებული და უსაფრთხო იყოს.

განვიხილოთ პრესზონაც. ლოჟაში ჟურნალისტები მათთვის გამოყოფილი ქვედა ჰოლიდან ლიფტით ხვდებიან. სამუშაო და მოსასვენებელ-მომსახურების ფართობები განცალკევებულია. არის ცალკე ოთახები ინფორმაციის მისაღებად, ტელეკომუნიკაციებისთვის და გადაცემებისათვის. იგივე პირობებია ფოტორეპორტიორთათვის. საპრესკონფერენციო დარბაზი 140 კაცზეა გათვლილი. ლოჟაში, ჩვეულებრივ 178 სკამი და მაგიდაა, თავისი მონიტორებით და შესაბამისი გაყვანილობებით, თუმცა საგანგებო შემთხვევებში ყველაფერი გათვლილია სამისოდ, რომ საგანგებო სკამების ჩადგმით ერთჟამ 240 ჟურნალისტს შეუქმნას სამუშაო პირობები.

ახლა კი თქვენის ნებართვით წერტილს დავსვამთ და „ათათურქის" სახელობის სტადიონის აღწერას აქ შევწყვეტთ. დავძენ, რომ 2003 წლიდან ამ სარბიელზე საშინაო თამაშებს მართავს „გალათასარაი". 2003 წლისა და 2004-ის ივნისში, აქ მოეწყო მძლეოსნობის საერთაშორისო შეჯიბრებები, დღეს კი მის ისტორიაში ახალი, დიდი ფურცელი იწყება.

პაპუნა კედია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

Istanbul
The Final 2005

FAN OF THE YEAR presented by AMSTEL BIER

მილანი (იტალია) V

ბარაქა, კარლო, ბარაქა!

რაშმა შევჩენკოს ბუცები აჩუქა, მიდი, გაიტანეო

სავარაუდო შემადგენლობა

1. ნელსონ დიდა (31 წლის) — მეკარეებზე ამბობენ, გიჟები არიანო, მაგრამ დიდას სიგიჟისა არაფერი ეტყობა. სრულიად მშვიდი და თავდაჯერებულია. ხაზზეც ძლიერია და გამოსვლებზეც.

2. მარკოს კაფუ (34) — ალექს ფერგიუსონის აზრით, „ორგულიანი" ადამიანია, რომელიც არასდროს იღლება. სწრაფია და შეტევებში საუცხოოდ ერთვება.

13. ალესანდრო ნესტა (29) — „სინიორ აუღელვებელი". თამაშს ბრწყინვალედ კითხულობს. თავისი საქმის პროფესორია.

3. პაოლო მალდინი (36) — ოცი წელია, „მილანშია" და ჩემპიონთა თასის მეხუთე ფინალს თამაშობს. ლეგენდა გამოცდილია და საიმედო.

4. კახა კალაძე (27) — ტრავმებმა გატანჯა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფორმაში არ იყო, მაგრამ ახლა უკეთესადაა.

8. ჯენარო გატუზო (27) — ფუტკარივით მუშაა. მეტოქის შეტევების ჩაშლის ოსტატია. სასწაული ბრძოლისუნარიანობის გამო „მილანის" ფანებისგან განსაკუთრებით პატივცემული.

21. ანდრეა პირლო (26) — საუცხოო გამთამაშებელი. კანფეტ-პასების ოსტატი. საჯარიმოებს შესანიშნავად ასრულებს.

20. კლარენს ზეედორფი (29) — სამ სხვადასხვა გუნდში („აიაქსი", „რეალი", „მილანი") ჩემპიონთა თასი სამჯერ მოიგო. ამ სეზონის ბოლოს ფორმიდან ოდნავ ამოვარდა, მაგრამ „მილანისთვის" მაინც უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა.

22. რიკარდო კაკა (23) — პირველივე მილანურ სეზონში ქომაგებს თავი შეაყვარა. სწორედ მისი პასით გაიტანა პსვ-სთან ამბროზინიმ გოლი, რომელმაც „მილანი" ფინალში გაიყვანა.

7. ანდრეი შევჩენკო (28) — დღევანდელი „მილანი" შევჩენკოს გარეშე წარმოუდგენელია.

11. ერნან კრესპო (29) — „მანჩესტერ იუნაიტედთან" ორივე მეოთხედფინალურ მატჩში „მილანმა" მისი გოლებით იმარჯვა.

AFP სტამბოლიდან

„მილანის" მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბრაზილიელისთვის, კაფუსთვის დღევანდელი ფინალი პირველია

კარლო ანჩელოტი, რომელიც ოთხი წლის წინ „იუვენტუსიდან" მარცხიანი კაცის იარლიყით გაათავისუფლეს, დღეს შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე „ბარაქიანი" იტალიელი მწვრთნელი გახდეს. მას შემდეგ, რაც „მილანი" ჩაიბარა, პირველივე სეზონში (2002-2003) ჩემპიონთა თასი მოიგო და ფინალში სწორედ „იუვენტუსს" სძლია. მომდევნო წელს „მილანმა" მისი თაოსნობით მე-17 სკუდეტო მოხვეჭა, ახლა კი ანჩელოტის ხელქვეითი „შავ-წითლები" ზედიზედ მესამე ჯილდოსკენ დგამენ ბოლო ნაბიჯს.

„ჩემთვის ყველაფერი მაშინ შეიცვალა, როცა „ოლდ ტრეფორდზე" „იუვენტუსი" დავამარცხეთ — განაცხადა მილანელთა მწვრთნელმა — მსურს, რომ ასე გავაგრძელო და ვფიქრობ, სტამბოლშიც გავიმარჯვებთ. დღევანდელი ფინალი ორი წლის წინანდელისგან განსხვავებულია, რადგან 2003-ში გუნდი ახალშექმნილი და ჯერ კიდევ დასახვეწი იყო. იმ დღიდან საქმე კარგად აეწყო და გზიდან გადახვევას არ ვაპირებთ".

როდესაც სილვიო ბერლუსკონიმ ფატიჰ თერიმი კარლო ანჩელოტით შეცვალა, ახალ მწვრთნელს პირდაპირ დაავალა — „მილანს" ის დიდება უნდა დაუბრუნო, ათი წლის წინ რომ ჰქონდაო. ანჩელოტის აზრით, ამჟამინდელი „მილანი" თითქმის ისევე ძლიერია, როგორიც 90-იანების დასაწყისში.

„ის გუნდი ტაქტიკურად ბრწყინვალედ განსწავლული იყო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ახლა ფეხბურთელების ინდივიდუალურობის თვალსაზრისიც გაცილებით უკეთესია. გარდა ამისა, ფინალურ მატჩებში გადამწყვეტია გამოცდილება, თავდადება და თავდაჯერებულობა. არც ერთი ამათგანი დღევანდელი „მილანის" ფეხბურთელებს არ აკლიათ. მათ იციან ფინალის გემო და ამ მხრივ „ლივერპულთან" უპირატესობა გვაქვს".

მოგეხსენებათ, წლეულს „შავ-წითლებმა" „იუვენტუსთან" ბრძოლა წააგეს, მაგრამ ადრიანო გალიანის თქმით, გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სკუდეტო: „მეორე ადგილზე გავედით, რაც ჩემპიონთა ლიგაში ადგილს დაგვიბევებს. ეს ტურნირი ჩვენთვის უმთავრესია. მომავალში ისევ სამ მიზანს დავისახავთ — ევროპა, სკუდეტო და იტალიის თასი, ამჟამად კი მხოლოდ „ლივერპულზე" ვფიქრობთ. მომდევნო სეზონში ჩემპიონთა თასი კვლავ მთავარი სამიზნე იქნება".

„მილანის" ბრაზილიელმა კაკამ განაცხადა, დღევანდელი ფინალი ჩემი ცხოვრების უმთავრეს მატჩად მიმაჩნიაო. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონმა აღნიშნა: „ეს ფინალი მსოფლიოს ჩემპიონატისგან სრულიად განსხვავებულია, რადგან კორეა-იაპონიაში გამარჯვებულ ბრაზილიის ნაკრებში მთავარ როლს მე არ ვასრულებდი. ჩემპიონთა ლიგის მოგება — აი, ერთ-ერთი მოტივი, რისთვისაც „მილანში" გადავედი. „ლივერპულთან" შეხვედრა ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს თამაშად მესახება, რადგან პირველად ვარ ფინალში და გამარჯვება მწყურია. „მილანის" ფეხბურთელებმა, რომლებმაც ლიგა ორი წლის წინ მოიგეს, მითხრეს, რომ ეს განსაკუთრებული რამაა და მეც ძალიან დავიმუხტე".

შარშანდელ სეზონში კაკა ბრწყინავდა, მაგრამ, მრავალთა აზრით, შემდეგ გამქრთალდა. ბრაზილიელი ამის თაობაზე პასუხობს: „დღევანდელ მატჩში უნდა დავამტკიცო, რომ კვლავაც ფორმაში ვარ. შარშან მე მაქებდნენ, მაგრამ ქებას მირჩევნია, „მილანთან" ერთად ჩემპიონთა თასი მოვიგო".

ფილიპო ინძაგი: „რაფაელ ბენიტესის „ლივერპული" ძალიან კარგი გუნდია. მათ ლიგის ფავორიტები — „იუვენტუსი" და „ჩელსი" დაამარცხეს და დიდ პატივს ვცემთ, თუმც მიმაჩნია, რომ ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავს და ფინალში გამარჯვების ოდნავ მეტი შანსი გვაქვს. არ ვნერვიულობთ და სრულად მობილიზებულნი ვართ".

კაფუ, მეტსახელად „მოგზაური" (ასე შეარქვეს იტალიაში ფლანგზე წინ და უკან სირბილის გამო), ჩემპიონთა ლიგის ფინალში პირველად თამაშობს და, ცხადია, 34 წლის კაცს კარიერის დასალიერზე ევროპული ჯილდოს მოგება ძალიან სურს. კაფუმ და 36 წლის მალდინიმ „მანჩესტერ იუნაიტედთან" მოგებული ორი მატჩის შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონი ხუმრობის ხასიათზე დააყენეს. ფერგიუსონმა თქვა: „მალდინი კიდევ ხუთ სეზონს თუ ითამაშებს, მე ფეხბურთს საერთოდ ჩამოვშორდები, რაც შეეხება კაფუს, მგონი, მას ორი გული აქვს და კარიერის დასრულებას საერთოდ არ აპირებს".

და მართლაც, 34 წლის კაფუს სისწრაფე გაოცებას იწვევს, თვითონ ბრაზილიელმა კი განაცხადა: „რამდენიმე ბიჭი ვიცი, ჩემზე სწრაფად რომ დარბიან, მაგრამ მთავარი ისაა, თუ მოედანზე, როდის, სად იმყოფები. ჩემპიონთა თასი არის ჯილდო, რომლის მოგებაზეც ვოცნებობდი".

„მილანის" მთავარმცველი ანდრეი შევჩენკო კი „გამოტყდა", რომ იან რაშის ფანი ყოფილა: „რაში თავის დროზე მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდი იყო და არასდროს დამავიწყდება, უელსში, ჩემს ყმაწვილკაცობაში ერთ-ერთ ტურნირზე მან ბუცები მაჩუქა. „ლივერპულის" მატჩებს ყოველთვის ვუყურებდი და პრემიერლიგური ფეხბურთი მხიბლავდა. ამ გუნდმა ფინალში თამაში დაიმსახურა. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო თამაში გამოვა".

ვაჟა ხუციშვილი

ეს საინტერესოა

- „მილანი" ფინალში მეათედ გავიდა და მოგებას მეშვიდედ შეეცდება. ჩემპიონთა თასი ყველაზე მეტჯერ (9) მადრიდის „რეალს" მოუგია.
- გოლი თუ ვერ გაუტანეს, ჩემპიონთა ლიგაში 12 „მშრალი" მატჩი გამოუვა.
- პსვ-სთან საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში სამი გოლი გაუშვა, იმდენივე, რამდენიც წინა 11 შეხვედრაში ერთად.
- ჩემპიონთა ლიგის ოთხიდან სამ ფინალში გოლი ვერ გაიტანა. შარშანწინ „იუვენტუსთან" (0:0), 1993-ში „მარსელთან" (0:1) და 1995-ში „აიაქსთან" (0:1).
- ჩემპიონთა ლიგის დაარსებიდან ფინალში მეხუთედ გავიდა. „იუვენტუსმა" ეს ოთხჯერ, „რეალმა" კი სამჯერ მოახერხა.

UEFA CHAMPIONS LEAGUE
İstanbul
The Final 2005
FAN OF THE YEAR
presented by
AMSTEL BIER

S ლივერპული (ინგლისი)

შეყვარებული მანიაკი

მოძებნის ჯერარდი ოქროს შუალედს შუალედს?

სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტ მაიკ კოლეტის აზრით, რაფაელ ბენიტესი ფეხბურთზე შეყვარებული მანიაკია. თურმე, ერთხელ, ღამით, ბენიტესის ცოლი ქმრის ლაპარაკმა გააღვიძა — „ლივერპულის“ თავკაცი ძილშიაც ფეხბურთელებს ელაპარაკებოდა და მოძღვარავდა.

ესპანელი მწვრთნელი „ლივერპულში“ შარშან ზაფხულს მივიდა და პირველივე სეზონში გუნდი ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა, რომელიც „წითლებმა“ ბოლოს 21 წლის წინ მოიგეს.

მოგეხსენებათ, წლეულს „ლივერპული“ პრემიერლიგაში არ ბრწყინავდა და ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულა, მაგრამ ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა — ფეხბურთელები ერთიმეორის მიყოლებით დაშავდნენ და ბენიტესსაც თავსატეხი არ ელეოდა.

სამაგიეროდ, ესპანელის უმაღლესი კვალიფიკაცია ჩემპიონთა ლიგის მატჩებში გამოჩნდა — მეოთხედფინალში „იუვენტუსთან“, ნახევარფინალში კი „ჩელსისთან“.

„სულ ფეხბურთზე ვფიქრობ — თქვა ბენიტესმა — ყოველდღიურად ათ საათს გუნდის ბაზაზე ვატარებ და შინ დაბრუნებულს ისევ ბურთი მელანდება, ჩემს ცოლს ბაზაზე მომხდარ ამბებს ვუყვები. მსურს, რომ ცოტა დრო მაინც გამოვნახო ბავშვებისთვის, მაგრამ ხანდახან ამასაც ვერ ვახერხებ“.

რაფაელ ბენიტესის თავკაცობით „ვალენსიამ“ 2001-ში, 31-წლიანი ლოდინის შემდეგ პრიმერადივიზიონი მოიგო. ესპანეთის ჩემპიონატში მათ 2003-შიც იმარჯვეს, 2004 წელს კი უეფას თასს დაეუფლნენ. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ბენიტესი თავისი საქმის კარგი მცოდნეა.

„ფეხბურთში წვრილმანიც კი მნიშვნელოვანია — ამბობს ესპანელი — ინგლისის ლიგის თასის ფინალი „ჩელსისთან“, სწორედ ამის გამო წავაგეთ. ჩვენ შევთანხმდით, რომ კუთხურებისას ბურთი შორეულ ძელთან ჩაგვეწოდებინა, მაგრამ ერთხელ ბიჭებს ეს არ გამოუვიდათ, რასაც „ჩელსის“ კონტრშეტევა და გოლი მოჰყვა. ნებისმიერი ჯილდოს მოგების შემდეგაც კი ისევე მშვიდი ვარ, როგორც წაგებული მატჩის შემდეგ. იმ მომენტში უკვე მომავალ თამაშზე ვფიქრობ. მწვრთნელმა მუდმივად უნდა ისწავლოს და მოქმედების თავისუფლება ჰქონდეს. ასე ვარ ამჟამად ლივერპულში. პრემიერლიგაში მეხუთეზე გავედით, მაგრამ გუნდის ქომაგები ყოველთვის სიხარულით მხვდებიან. ამიტომაც ვიხარჯები ბოლომდე „ლივერპულისთვის“. ჩემი ექვსი წლის გოგონა კლაუდია, ინგლისურად უკეთესად ფლობს, ვიდრე მე. ისიც სულ ფეხბურთზე მესაუბრება, რადგან მამამისს ფეხბურთზე აბოდებს. ერთხელ მკითხა, სულ „ჩელსის“ რატომ ეთამაშებითო. ჩვენ ხომ ამ სეზონში „ჩელსის“ ხუთჯერ შევხვდით“.

რაფაელ ბენიტესმა თავის ფეხბურთელებს უთხრა, „მილანი“ დიდი გუნდია, მაგრამ მუხლები არ აგიკანკალდეთო: „თითოეულმა უნდა ირწმუნოს, რომ გამარჯვება შეუძლია — განაცხადა მწვრთნელმა — ასეთ მატჩებში მოედანზე შიშით გასვლა მარცხს ნიშნავს. ფავორიტებად არ მივაჩნივართ, მაგრამ რაკი ფინალში ვართ, ესე იგი დავიმსახურეთ კიდეც“.

მილან ბაროშმა ინგლისის ლიგის თასის ფინალში „ჩელსისთან“ წაგებულ მატჩში შეცვლაზე ითამაშა, ახლა კი მაიკლ ოუენობა მოუნდა: „2001 წელს ოუენმა ასოციაციის თასის ფინალში „არსენალთან“ გამარჯვების გოლი გაიტანა, ხოლო მანამდე, ლიგის თასის ფინალში არ ათამაშეს. „ჩელსისთან“ უთამაშებლობის შემდეგ ლევანდელი მატჩი ჩემთვის უმნიშვნელოვანესია და მსურს, ოუენივით გამარჯვების გოლი გავიტანო. ჩემპიონთა თასი ხომ ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. სეზონის დაწყებამდე მადრიდული ტურნირში ჩვენ „მილანს“ 2:1 ვძლიეთ და მაშინ მე გავიტანე. იგივეს სიამოვნებით გავიმეორებდი. იაპ სტამის წინააღმდეგ არაერთხელ მითამაშია სანაკრებო დონეზე და ბევრჯერ გამარჯვებული გამოვსულვარ. ასე რომ, ჩემთვის ეს მცველი კარგად არის ნაცნობი“.

ლუის გარსია „ბარსელონადან“ „ლივერპულში“ შარშან გადავიდა და ახლა არ ნანობს, რადგან ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშობს.

„ესპანეთიდან ხშირად მირეკავენ და დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ — განაცხადა გარსიამ, რომელმაც „ენფილდზე“ „იუვენტუსს“ ბრწყინვალე გოლი გაუტანა — არ მეგონა, თუ პირველივე სეზონში ასეთ ჯილდოს წავეპოტინებოდით, მაგრამ ახლა ფაქტის წინაშე ვდგავართ.“

„ლივერპულის“ კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა კი „მილანს“ ევროპის საუკეთესო კლუბი უწოდა: „მილანი ფანტასტიკური გუნდია, უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული — თქვა სტივიმ — ჩვენ ურთულესი მატჩი გველის, მაგრამ „ლივერპულს“ თასის მოგება მაიზე არანაკლებ სწყურია. თავიდანვე თუ შევუტევთ, მეტოქე კონტრშეტევაზე დაგვსჯის, დაცვაში ჩაჯდომაც საშიშია, რადგან „მილანის“ დარი გუნდი ერთ შეცდომასაც არ გაპატიებს. ჩვენ ბევრი ტაქტიკური მონახაზი მოვსინჯეთ და „ოქროს შუალედი“ უნდა მოვძებნოთ. ამ შეხვედრაში ბევრი გოლი ალბათ არ გავა, რაკი ორივე გუნდს კარგი დაცვა ჰყავს. ჩემი აზრით, გამარჯვებულს ერთი გოლი გამოავლენს და ვიმედოვნებ, ამ გოლს „ლივერპული“ ძირითად დროში გაიტანს. პენალტებით ჩემპიონთა თასის მოგების პერსპექტივა მაინცდამაინც არ მხიბლავს“.

ჯიბრილ სისემ პრემიერლიგის ბოლო ტურში „ასტონ ვილასთან“ დუბლი შეასრულა და ახლა ძირითად შემადგენლობაში ადგილს ელის: ვცებ მილანელები ფიქრობენ, რომ იოლად გაგვისწორდებიან, მაგრამ უკაცრავად, ასე არაა. თუნდაც „პსვ ეინდჰოვენთან“ მათი მეორე მატჩი გაიხსენეთ. ამ თამაშის ნახვის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემპიონთა თასის მოგება შეგვიძლია. მით უმეტეს, ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი გვყავს“

ვაჟა ხუციშვილი

AFP სტამბოლიდან

ლივერპულელ სტივენ ჯერარდს ჩემპიონთა თასის მოგება ძალიან უნდა

ეს საინტერესოა

- „ლივერპული“ შარშან პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე გავიდა და ახლა ჩემპიონთა თასის ფინალშია. ზუსტად ასევე იყო „მილანი“, რომელიც 2002-ში იტალიაში მეოთხე საფეხურს დასჯერდა, მაგრამ 2003-ში ლიგის ფინალში „იუვეს“ აჯობა.
- „ლივერპულმა“ ხუთჯერ ითამაშა ჩემპიონთა თასის ფინალში და ოთხჯერ მოიგო. ბოლოს, 1985-ში, „იუვენტუსთან“ დამარცხდა.
- ჩემპიონთა ლიგის შექმნის დღიდან პირველადაა ამ ტურნირის ფინალში.
- ფინალამდე 14 მატჩი ითამაშა და აქედან შვიდში გოლი არ გაუშვია.
- „ლივერპულის“ იტალიურ კლუბებთან შეხლაში ჯერჯერობით 1:1-ია. ჩემპიონთა თასის 1984 წლის ფინალში ინგლისელებმა „რომას“ პენალტებით სძლიეს, მომდევნო წელს კი „იუვენტუსთან“ წააგეს.

სავარაუდო შემადგენლობა

1. ირჟი დუდეკი (32 წლის) — მესამე პოლონელია, რომელიც ჩემპიონთა თასის ფინალში ითამაშებს. კრის კირკლენდის ტრავმის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიბევა, მაგრამ ხანდახან წაიბარტყეზებს.

3. სტივ ფინანი (29) ... ლანდიის ნაკრების მცველი „ლივერპულში“ ორი წლის წინ „ფულემიდან“ გადავიდა.

23. ჯეიმი კარაგერი (...) — მერსისაიდში დაბადებული ფეხბურთელი, რომელსაც „ლივერპულის“ გარდა სხვაგან არ უთამაშია და უკვე 300 მატჩზე მეტი მოუგროვდა.

4. სემი ჰიიპია (31) ... მახი ფინელი მეექვსე სეზონს ატარებს „ენფილდზე“ და გუნდის დაცვის ჯიგარია.

21. ჯიმი ტრაორე (25) 1999 წელს „ლანსისგან“ ხახევარ მილიონ გირვანქად ნაყიდი მცველი რაფაელ ბენიტესის ხელში მაღალი კლასის ფეხბურთელად იქცა.

16. დიტმარ ჰამანი (31) გამოცდილი გერმანელი ნახევარმცველი, რომელიც ახლახან იურგენ კლინსმანმა ნაკრებში დააბრუნა. 1996 წელს „ბაიერნში“ და 2001 წელს „ლივერპულში“ უეფას თასი მოიგო.

14. ხაბი ალონსო (23) სამთვიანი ტრავმის შემდეგ „იუვენტუსთან“ საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში დაბრუნდა და დაამტკიცა, რომ „ლივერპულს“ მის სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა ტყუილად არ გადაუხდია.

6. იონ არნე რიისე (24) ნორვეგიელი ლეგიონერი ... რარ ულიეს მწვრთნელობის დროიდან ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. მარცხენა ფლანგს იპყრობს ნებს და საშინელი ძალის პატრონია.

8. სტივენ ჯერარდი (24) — „ლივერპულის“ კაპიტანი და გულისცემა. ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.

10. ლუის გარსია (26) შემტევი ნახევარმცველი. „ჩელსის“ კარში ერთადერთი გადამწყვეტი გოლის ავტორი. გუნდში კარგად ჩაეწერა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი უმალ დაიმკვიდრა.

5. მილან ბაროში (23) ევრო 2004-ის საუკეთესო ბომბარდირი. თავიდან კარგად დაიწყო, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში გოლების გატანას უკლო.

UEFA CHAMPIONS LEAGUE
istanbul
The Final 2005
FAN OF THE WEEK
presented by AMSTEL

რა კარგი იყო ჩემპიონთა თასი და როგორ არ უყვარს ლიგას საქართველო

ვფიქრობთ, ქართველი ფეხბურთელის კახა კალაძის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა — უკვე მეორედ — საწყენად არავის დაურჩა. მაგრამ იმასაც ვფიქრობთ, რომ ლიგაში ერთი ქართველის წარმატებულ თამაშზე მეტად, იქ ქართული გუნდის თამაში გვეამებოდა.

იმ ძველ დროში კი, როცა ევროფეხბურთი ახლანდელზე დემოკრატიული გახლდათ და ეროვნული ჩემპიონატების გამარჯვებულებს ჩემპიონთა თასზე სათამაშოდ საკვალიფიკაციო ეტაპების გადალახვა არ სჭირდებოდათ, ქართულ გუნდს მერვედფინალშიც უთამაშია. თინეიჯერთა თაობას ეგ ამბავი გადმოცემით თუ ეცოდინება, ძველ გულშემატკივრებს კი აბა, რა დაავიწყებთ.

მაგრამ, ჯერ ის ვთქვათ, რომ თბილისის „დინამოს“ საბჭოეთის არსებობის წლებში ორჯერ უნდა ეთამაშა ჩემპიონთა თასზე, რაკი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ორჯერ გახდა, მაგრამ პირველ ჯერზე ევროპას არ გააკარეს

ქართველ სტაჟიან გულშემატკივარს „ლივერპულთან“ მატჩები დღემდე ტკბილად გვაგონდება

სარგებელის არქივიდან

„დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი პირველად, მოგეხსენებათ, 1964 წელს შეიქნა, მაგრამ მოსკოველ ჩინოვნიკებს იმხანად თავში ორული აზრები უტრიალებდათ — ვაითუ საბჭოთა გუნდმა კაპიტალისტურ გუნდთან ვერ ივარგოს და მერე როგორღა დავასაბუთოთ ჩვენი წყობილების უპირატესობაო.

ბედის ირონია კი ის გახლავთ, რომ საბჭოთა ბელადებმა საბჭოური გუნდები ევროთასებზე 1966 წლიდან დაუშვეს ანუ თბილისის „დინამო“ ბოლო საბჭოური გუნდი იყო, პოლიტიკური მოსაზრების გამო ჩემპიონთა თასზე რომ არ ათამაშეს. პირველი საბჭოთა გუნდი ჩემპიონთა თასზე კი მოსკოვის „ტორპედო“ გახლდათ, 1965 წლის ჩემპიონი, პირველივე წრეში მილანის „ინტერმა“ რომ დაიფრინა.

ახლა კი მივუბრუნდეთ 1979 წელს, როცა იმ დროისთვის საბჭოეთის საუკეთესო გუნდმა, თბილისის „დინამომ“ თავის და ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად და ვაი, რომ ჯერჯერობით ბოლოჯერ ითამაშა ჩემპიონთა თასზე.

პირველივე ეტაპზე „დინამოს“ მეტოქედ „ლივერპული“ ერგო. მოდი ასე ვიქვათ — დიდი „ლივერპული“.

პირველი მატჩი 19 სექტემბერს „ენფილდზე“ გაიმართა და რა გასაკვირია, რომ ყველა „ლივერპულის“ იოლ და დიდი ანგარიშით გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. ბოლოს და ბოლოს, „ლივერპული“ ჩემპიონთა თასის 1977 და 1978 წლების მფლობელი იყო.

არც ის არის გასაკვირი, რომ „ლივერპული“ პირველივე წუთებიდან იერიშზე დაიგეშა და კარგი მომენტებიც შექმნა გაბელიას კართან. „დინამოს“ ცოტა დრო დასჭირდა გონზე მოსასვლელად და შენგელაამ და ყიფიანმა განიაჯეს კარგი მომენტები.

მერე გოლიც გავიდა: მაკდერმოტის პასით ჯონსონმა გაიტანა, რითაც ინგლისელებს იოლი გამარჯვების რწმენა განუმტკიცდათ.

მაგრამ ცოტა ხანში თითქოს წარმოუდგენელი რამ მოხდა: ჩივაძე მეტოქის კარისკენ გაიჭრა, დარასელიამ ბურთი დაადევნა, ღონიერ დარტყმას კი კლემენსი მოუმზადებელი შეხვდა — უფრო სწორად, ვერ შეხვდა, ნახტომი დაუგვიანდა და ალექსანდრე ჩივაძე ჩემპიონთა თასზე პირველი ქართული გოლის ავტორი გახდა.

„დინამომ“, როგორც იტყვიან, თვალებში გამოიხედა, მაგრამ მალევე კეთილ საჯარიმო დარტყმით ისევ მასპინძლები დაწინაურა. პირველი ტაიმიც ასე დამთავრდა, მერეში კი ვოლი აღარ გასულა. მთავარი კი ის არის, რომ ინგლისელები ამ მატჩის მერე ამრეზით აღარ უყურებდნენ ჩვენს გუნდს, რიდი მიეცით და ლეგენდარულ მწვრთნელ ბობ პეისლის ნამყოფევს ისიც უთქამს, „ენფილდზე“ „დინამოზე“ უკეთეს გუნდს არასდროს უთამაშია.

ორი კვირის მერე „ლივერპული“ თბილისში ჩამოვიდა და ვ. ი. ლენინის სახელობის გადაჭედილ სტადიონზე, კოკისპირულ წვიმაში, სამი გოლი გაუშვა.

პირველი ტაიმი „დინამოსი“ იყო, მაგრამ უგოლოდ დასრულდა. მანუჩარ მაჩაიძის პასები მეტწილად ყიფიანთან მიდიოდა, ის კი შენგელიას და გუცაევს უნაწილებდა. ესენი სტუმართა დაცვას კი აწიოკებდნენ, მაგრამ გოლი ვერ გაჭქონდათ. „ლივერპული“ კონტრშეტევებზე ლამობდა თამაშის აწყობას, მაგრამ მომენტი არ ჰქონია.

ნანატრი გოლი თამაშის განახლებიდან აო წუთში გავიდა: ყიფიანმა ფლანგზე მოატყუა მეურვე და განივად ჩაწოდა. გუცაევმა მცველს დაასწრო და ორი მატჩის ჯამშიც „დინამომ“ უპირატესობა მოიპოვა.

კლემენსის კართან იერიშები გაგრძელდა, მაგრამ მარტო მეკარეს რამდენჯერ უნდა ეხსნა კარი გოლისგან: 75-ე წუთზე ჭილაიამ თავისი ნახევრიდან დაიწყო, რამდენიმე ფეხბურთელი მოატყუა და ბურთი შენგელიას გადაულოცა, ვინაც ზემოდან გადაუგდო ბურთი კარიდან გამოვარდნილ კლემენსს. მესამე კი გუცაევის წაქეზებისთვის დანიშნული პენალტით ჩივაძემ გაიტანა.

„დინამოს“ მომდევნო მეტოქე „ჰამბურგი“ იყო.

ასეთ ამბავს იხსენებენ — პირველ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, ახალკაცი გერმანიაში გაემგზავრა და მომავალი მეტოქის თამაშს დაესწრო, თან ბლოკნოტში რაღაცეებს ინიშნავდა. მისთვის მიჩენილი გერმანელი თარჯიმანი ძალიან კი ცდილობდა, მწვრთნელის ჩანაწერების წაკითხვას მაგრამ გერმანელებმა ის კი ვერ გაითვალისწინეს, რომ ახალკაცი რუსულად კი არა, ქართულად წერდა.

მაგრამ მწვრთნელის ჩანაწერებმა „დინამოს“ ვერ უშველა, არადა, ყველაფერი გადასარევად დაიწყო: ყიფიანმა დარასელიასგან პასი მიიღო, ნოგლი, კალცი და მეკარე კარგუსი მოატყუა და ანგარიში გახსნა.

მერე კარგა ხანს ბჭობდნენ, რა მოხდებოდა, კალცის დარტყმული მუჯირს საკუთარ კარში რომ არ ჩაეჭრაო, მაგრამ ეს უსარგებლო ლაპარაკია — ჩაჭრა და ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა.

გერმანელთა მეორე გოლი, უკვე მეორე ტაიმში, იმავ კალცის პასით კიგანმა გაიტანა — იმ კიგანმა, წინა წელსაც და იმ 1979-შიც, ზედიზედ ორჯერ რომ დაასახელეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად.

მეორე გოლმა დინამოელები დათრგუნა და ისევ და ისევ კალცის პასით მესამე გოლიც გავიდა, რომელიც ჰარტვიგმა გაიტანა.

თბილისში, საპასუხო მატჩისთვის ჩამოსულმა კიგანმა თქვა, მეოთხედფინალში რომ გავიდეთ, ერთი გოლი მაინც უნდა გავიტანოთ, თორემ „დინამოსთან“ ორბურთიანი უპირატესობა ბევრი არ არისო. მართალი გამოდგა კიგანი.

მე-3 წუთი: გუცაევმა დაბალ კუთხეში გაიტანა. მეოთხედფინალამდე „დინამოს“ ერთი გოლიღა აშორებდა, რომლის გასატანადაც 85 წუთი კიდევ ჰქონდა.

მაგრამ კიგანმა — ნუ გაიკვირვებთ და ისევ კალცის პასით — 35-ე წუთზე გაათანაბრა და ამის მერე ძნელი წარმოსადგენი იყო, „დინამოს“ თამაშის გადარჩენა მოეხერხებინა. ყიფიანის გოლს გერმანელებმა კიდევ ორით უპასუხეს და „ჰამბურგი“ თბილისშიც გამარჯვებული დარჩა, კალცმა კი ერთი საგოლე პასიც მიითვალა.

„დინამოს“ და მით უმეტეს სხვა ქართულ კლუბს, ჩემპიონთა ლიგაში 13-წლიანი უძრაობის ხანა დაუდგათ და 1993 წელს უკვე ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული „დინამო“ ჩემპიონთა ლიგად ქცეულ შეჯიბზე სკანდალით და სირცხვილით დაბრუნდა — შესარჩევ ეტაპზე „დინამომ“ ორი მატჩის ჯამში 3:2 მოუგო ჩრდილოირლანდიულ „ლინფილდს“, მომდევნო ეტაპზე „კოპენჰაგენს“ უნდა დასჯახებოდა და თუ იმასაც მოუგებდა, თბილისში „მილანი“ ჩამოვიდოდა, მაგრამ ვლახაკს ქილა გაუტყდა: „დინამოს“ მაშინდელი უფროსობა მსაჯების მოქრთამვაში ამხილეს და გუნდი ევროპიდან სირცხვილით მოკვეთეს.

მომდევნო სამი სეზონის მანძილზე კი საქართველოს ჩემპიონს ჩემპიონთა ლიგას ახლოს არ აკარებდნენ. 97-ში „დინამომ“ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან სხვა ჩრდილოირლანდიური გუნდი, „კრუზეიდერსი“ გაგდო, რის მერეც „ლევერკუზენთან“ გოლები გაუშვა და გაუშვა...

შემდეგ სეზონში „დინამო“ ძალიან ახლოს იყო ლიგასთან. ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე, გეხსომებათ, „ბოლბაოს“ შინ 2:1 მოუგო და ბასკთა ქვეყანაში ფრეც ხელს აძლევდა და ისეთი ანგარიშით წაგებაც, მეტოქის მოედანზე გატანილი მეტი ბურთით რომ მოხვდებოდა ლიგაში. მაგრამ პირიქით მოხდა — ლიგაში „ბილბაო“ გავიდა, სწორედ მეტოქის მოედანზე გატანილი გოლის წყალობით. არადა, თბილისში „ოუვენტუსის“ ჩამოსვლის შანსი იყო...

ამის მერე საქართველოს ჩემპიონი, დინამო“ იქნებოდა, „ტორპედო“ თუ „ვიტ ჯორჯია“, ლიგას სათოფეზე აღარ გაჰკარებია, სამარცხვინო ანგარიშებით წაგებამ კი იცოცხლეთ, იმატა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ლიგაში ჯერჯერობით ისევ კახა კალაძის თამაში უნდა გვიხაროდეს.

კოტე კეკელია

ქართული კლუბები ჩემპიონთა თასზე

19.09.79 ენფილდი

ლივერპული 2:1 დინამო

1:0 ჯონსონი, 1:1 ჩივაძე, 2:1 კეისი

ლივერპული: კლემენსი, ნილი, ა. კენედი, ტომპსონი, ფერკლარი (პეივეი), ირვინი, დალგლიში, კეისი, ჯონსონი, მაკდერმოტი, სუნესი

მწვრთნელი: ბობ პეისლი

დინამო: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია

მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი

03.10.79 ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

დინამო 3:0 ლივერპული

1:0 გუცაევი, 2:0 შენგელია, 3:0 ჩივაძე (პ)

დინამო: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია

მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი

ლივერპული: კლემენსი, ნილი, ტომპსონი, ჰანსენი, ირვინი, კეისი (ფერკლარი), მაკდერმოტი, სუნესი, რ. კენედი, დალგლიში, ჯონსონი

მწვრთნელი: ბობ პეისლი

24.10.79 ფოლუსპარაშტადიონი

ჰამბურგი 3:1 დინამო

0:1 ყიფიანი, 1:1 მუჯირი (ს.კ.), 2:1 კიგანი, 3:1 ჰარტვიგი

ჰამბურგი: კარგუსი, კალცი, ჰიდინი, ბულიანი, ნოგლი, იაკობსი, კიგანი, ჰარტვიგი, ხრუბეში, მაგათი, რაიმანი

მწვრთნელი: ბრანკო ზებეცი

დინამო: გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია (სულაქველიძე), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია

მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი

07.11.79 ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

დინამო 2:3 ჰამბურგი

1:0 გუცაევი, 1:1 კიგანი, 1:2 ხრუბეში, 2:2 ყიფიანი, 2:3 ბულიანი

დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია

მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი

ჰამბურგი: კარგუსი, კალცი, ჰიდინი, ბულიანი, ნოგლი, იაკობსი, კიგანი, ჰარტვიგი, ხრუბეში, მაგათი, რაიმანი

მწვრთნელი: ბრანკო ზებეცი

1993-94

დინამო 2:1, 1:1 ლინფილდი

1997-98

კრუზეიდერსი 1:3, 1:5 დინამო

ლევერკუზენი 6:1, 0:1 დინამო

1998-99

დინამო 3:0, 1:3 ვლაჭნია

პირველი მატჩი „დინამომ“ 1:0 მოიგო, მაგრამ მეტოქეს მოედანზე თამაშის უფლების არმქონე ფეხბურთელი ჰყავდა, რის გამოც „დინამოს“ 3:0 მოგება ჩაეთვალა

დინამო 2:1, 0:1 ბილბაო

1999-2000

დინამო 2:1, 0:2 ზიმბრუ

2000-01

ცრვენა ზვეზდა 4:0, 0:2 ტორპედო

2001-02

ლინფილდი 0:0, 0:1 ტორპედო

ტორპედო 1:1, 1:3 კოპენჰაგენი

2002-03

ტორპედო 5:2, 1:0 ტორსპავნი

სპარტა 3:0, 2:1 ტორპედო

2003-04

დინამო 3:0, 0:3 (2:4პ) ტირანა

2004-05

ვიტ ჯორჯია 5:0, 0:3 ტორსპავნი

ვიტ ჯორჯია 2:8, 0:3 ვისლა

სარგებელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		30 მაისი						
18:00	547	ვერსუ ტემი-ბრეიტონი	2.25	3.2	2.85	1.32	1.25	1.5
		ინგლისი. I ლიგა						
		29 მაისი						
18:00	548	ალბერტშოტი-შეფილდი	3.0	3.2	2.15	1.54	1.25	1.28
		ინგლისი. II ლიგა						
		28 მაისი						
18:00	549	საუთენდი-ლინკოლნი	2.35	3.2	2.7	1.35	1.25	1.46
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		26 მაისი						
20:00	19	აუსტრია-ზალცბურგი	1.9	3.3	3.5	1.2	1.23	1.69
20:00	20	ბრეგენცი-გრაზერი	4.4	3.6	1.65	1.98	1.2	1.13
20:00	21	რაბიდი-აუსტრია	2.35	3.1	2.75	1.33	1.26	1.45
20:00	22	შტურმი-პასინგი	2.45	3.3	2.5	1.4	1.23	1.42
20:00	23	ტიროლი-ინსბრუკი	1.8	3.3	4.1	1.16	1.25	1.82
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		25 მაისი						
20:30	39	ჩაქაქი-გრასჰოპერი	4.3	3.4	1.65	1.89	1.19	1.11
		ბელგია. I დივიზიონი						
		26 მაისი						
22.30	359	სტანდარდი-გენტი	1.9	3.2	3.7	1.19	1.25	1.71
		ბელგია. II დივიზიონი						
		26 მაისი						
22:30	121	ბეჭელი-ანტვერპენი	1.9	3.2	3.4	1.19	1.21	1.64
22:30	122	ვალონიი-ბრუსელი	3.4	3.3	1.9	1.67	1.21	1.2
		საბერძნეთი						
		25 მაისი						
19:30	125	აეკ-ლარნაკა	1.15	5.5	12.0	1.0	1.04	3.77
19:30	127	ირაკლისი-ოლიმპიაკოსი	8.0	5.0	1.25	3.07	1.08	1.0
19:30	131	ციკა-პანათინაიკოსი	10.0	5.8	1.15	3.67	1.03	1.0
		რუსეთი						
		28 მაისი						
15:00	146	ალანია-როსტოვი	1.85	3.0	4.2	1.14	1.28	1.75
15:00	147	ც

მესამე და ტექნიკური სამართალი

ავიამშენს ჯარიმები წაგებად დაუჯდა



გუშინ დოლიძის სახელობის ფოტოები

ირაკლი პერტაია

„სტუ-ჯეოსელი“ ჩემპიონია! გუშინ ნუგზარ ჭეიშვილის დამოძღვრილმა სტუდენტებმა ეროვნული პირველობის სუპერფინალში „თბილავიამშენი“ დაამარცხეს და საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

ტექნიკოსებს, როგორც იქნა, ელირსათ პირველობა. წლების განმავლობაში ისინი ნიადაგ მესამეები იყვნენ, ერთხელაც კერძოლის მედალს შესწვდნენ, თუმც ახლა საწადელი „ოქროს გადამეტებით“ აიხრულეს.

სტუ-მ გუშინ აწ გასრულებული ხეზონის მესამე ტიტული მოიპოვა. სექტემბერში ტექნიკოსებმა დუდუ დადიანის ტრადიციული ტურნირი მოიკეს, რასაც მარტში საქართველოს თასიც მიაყოლეს და გუშინ...

„სტუ-ჯეოსელი“ პირველი გუნდია, რომელმაც ერთ სეზონში კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ყველა ტიტული მოიგო. თუმც ისიც სათქმელია, რომ 4-5 წლის წინ დუდუ დადიანის მემორიალი და მით უმეტეს, სათასი ტურნირი არ იმართებოდა.

ასე თუ ისე, ნუგზარ ჭეიშვილმა მოახერხა და თავის გუნდს ჰ ეი ორიკი შეასრულებინა. ამ ტიტულოსანთ ყველაზე ტკბილი, ცხადია, გუშინ მოგებული ჩემპიონობა იყო და ტექნიკოსებმა დიდი ზარბაბმთა და შამპანურების ბოქაბეოქთ აღნიშნეს ეს გამარჯვება.

„სტუ-ჯეოსელმა“ დამსახურებულად, დიდი და მარათონული ბრძოლის შედეგად იმარჯვა. ისე არც ის იქნებოდა ეასაკვირი, რომ ჩემპიონი „ავიამშენი“ ვამხდარიყო, მაგრამ ვადამწყვეტ მომენტში სტუ-ლენტებმა უფრო დიდი მონდომება გამოიჩინეს.

ბურთი მრგვალია, ხან ჩავარდება, ხან არა, მაგრამ როცა გარკვეული უპირატესობას მიაღწევ, იდეალიც წაგაშველებს ხელს. თამაშის დასრულებამდე ხუთიოდ წუთით ადრე სტუ-მ გარკვეული უპირატესობა მოიპოვა, რაც გამოიყენა კიდეც და ჩემპიონი გახდა.

უპირატესობა ის იყო, რომ „ავიამშენმა“ სირენამდე 5 წუთით ადრე პერსონალურების ლიმიტის გამო არაკანონიერად ხოშტარია მოისაკლისა, რომელიც ანალოგიური მიზეზის გამო მოედნიდან გასულ ამრსი ორმოცაძეს შეუერთა. ვიფიქრ არაფერი, მაგრამ ამ ორი კალათბურთელის თამაშგარე დარჩენით, „ავიატორებმა“ აუნაზღაურებელი ძალა დაკარგეს და შედეგმაც არ დააყოვნა. ბოლო წუთებზე „ავიამშენი“ აშკარად არ ჰგავდა სახრიანად მოთამაშე გუნდს, ძალიან ბევრ ტყორცნას აცილებდა და თამაშის ორგანიზება უჭირდა.

„ავიამშენმა“ რომ სირენამდე დაკარგა მოთამაშეები, გარკვეულ წილად მისი მწვრთნელის, ლევან მოსეშვილის ტაქტიკის შედეგი იყო. „ავიატორთა“ თავკაცმა მატჩამდე განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი მეტოქის სწრაფი შეტევების ჩახშობა იყო. მართალიც გახლდათ, სტუ ხომ ელვისებური კონტრშეტევებითაა ცნობილი და თუ სიჩქარე აკრიფა, მერე წამოწევა ძნელია.

ასეა თუ ისე, „ავიამშენმა“ მოახერხა და სტუდენტებს სწრაფი თამაშის საშუალება არ მისცა, მაგრამ ეს მას გადამეტებული ჯარიმების ფასად დაუჯდა. ააცილებდნენ თუ დაკარგავდნენ ბურთს, „ავიატორები“ მეტოქის კონტრშეტევის შეჩერებას ჯარიმით ეშურებოდნენ და მოსეშვილის შეგირდებს თავიდანვე ზომაზე მეტი პერსონალური დაუგროვდა, რამაც უარყოფითი შედეგი, როგორც უკვე ვთქვით, ბოლოს გამოიღო.

სანამ „ავიატორები“ ლიდერებს მოისაკლისებდნენ, მათი წყალობით არ უჭირდათ. განსაკუთრებით ამროსი ორმოცაძის აზრიანი თამაშია გამოსარჩევი, რომელიც ფარქვეშ გამოზომილი პასებით პოულობდა თანაგუნდელებს და ხანგამოშვებით თავადაც ხეირობდა.

მთლიანობაში კი თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. „სტუ-ჯეოსელმა“ თავიდანვე 11-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ საწყისი მეოთხედის ბოლო სამი წუთი 2:12 წააგო და პირველ შესვენებაზე მხოლოდ 3 ქულახლა იგებდა.

მეორე მეოთხედიდან „ავიამშენმა“ საბოლოოდ მოახერხა მეტოქის ფარზე გაბატონება და ბერძენიშვილ-ორმოცაძის ტანდემმა „ავიამშენს“ პირველი ლიდერობაც დაუბევა — 35:34.

სტუ-მ მეტოქეს ფარქვეშ ჯაჯგური არ დაუწყო, ადგა და სამქულიანის სროლას მიჰყო ხელი. ამ საქმეში თავი გიორგი მარკოიშვილმა ისახელა, რომელიც პირველ მეოთხედში პერიმეტრზე საიმედოდ ჰყავდა ამოკვეთილი გოჩა წოწელიას. „მარკოზამ“ სამი სამქულიანი ჩააგდო ორწუთიან მონაკვეთში და „ავიამშენის“ მცდელობას, ფარქვეშიდან ჯახირ-ჯახირ შეეგროვებინა ქულები, ეფექტი დაუკარგა.

პირველი ტაიმის ბოლო წამზე ორმოცაძემ შედეგიანად დააგვირგვინა შეტევა და სტუ დიდ შესვენებაზე მოკრძალებული ლიდერობით გავიდა — 52:47.

აი, მესამე მეოთხედში კი მრავალგზის ჩემპიონმა ორმოცაძემ „ავიატორებს“ დიდი სამსახური გაუწია. მიუხედავად იმისა, რომ მან ამ პერიოდის დასაწყისშივე მიიღო მე-4 პერსონალური შენიშვნა, ათწუთიანის ბოლომდე მოედანზე დარჩა და მოსეშვილის გუნდს სტუ-ლენტების [illegible] ამ დროისთვის მოსეშვილის მიერ ოქმის ყველა ტიკინერ გაიყვანა, მხოლოდ სათადარიგო მამუკა ბოლქვაძეს ენდო და ამასაც ერთ ეპიზოდში გაამართლა. „ავიამშენი“ პრესინგის ზღვარზე ძალიან მჭიდროდ იცავდა თავს და უკანასკნელი შესვენებისთვისაც 5-ქულიანი ლიდერობა შერჩა.

გადამწყვეტი მეოთხედი კვლავ „ავიატორთა“ აქტიურობით დაწყდა და როცა გიორგი ნიკოლაძემ სამქულიანი მოიოვლა, სირენამდე 7 წუთი რჩებოდა, მოსეშვილის გუნდს კი ექვსქულიანი უპირატესობა ეპყრა. საჭირო იყო, 7 წუთის საზრიანად ჩათამაშება და „ავიატორები“ საწადელს მიაღწევდნენ, მაგრამ ვინ დააცალა...

გამოცდილმა რამაზ გოგობერიშვილმა, რომელმაც მეოთხე ცალზე, წლევანდელ ფინალში იახლა საჩემპიონო ნატკრა, ერთ ეპიზოდში საკუთარ თავზე აიღო თამაში და მისი შეჩერება „ავიატორებმა“ მხოლოდ ჯარიმებით მოახერხეს. ამანაც ოთხიდან ოთხჯერ იჩუბინა საპენალო ხაზიდან და დავით ბერიშვილის სამქულიანის შემდეგ სტუ-მ კვლავ დაიბრუნა ლიდერობა — 73:72

ამასობაში ხოშტარიაც გავარდა, ორმოცაძე მანამდეც გაძეგბული იყო და „ავიატორებს“ მონასტერი აერრიათ. ამან მათ ნერვებზეც იმოქმედა და მოსეშვილის შეგირდებმა თამაშის ბოლო მონაკვეთში საჯარიმოების აცილება იწყეს, რამაც ტექნიკოსები შეაგულიანა და ისინი თამამად ჯარიმდებოდნენ „ავიატორებზე“.

სირენამდე სულ ცოტა დრო რჩებოდა, სტუ კი ნელ-ნელა იმტკიცებდა ლიდერობას. უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო ღავით ბერიშვილმა დასრულებამდე ოთხი ხეკარი წუთით ადრე და ტექნიკოსები 81:77 დააწინაურა.

მომდევნო შეტევაში ნიკოლაძე ორიდან ერთ ჯარიმას აგდებს, მაგრამ დავით თორთლაძის სამქულიანმა სულზე მიუსწრო „ავიამშენს“ — 81:84. აი, აქ კი მიეცა მოსეშვილის გუნდს შანსი, როცა მამუკა აბრამიძემ ორჯერ ტყორცნა პერიმეტრის მიღმიდან, მაგრამ...

ყველაფერს წერტილი ბოლო წუთზე დაესვა, როცა ექვსი ქულით ჩამორჩენილმა „ავიამშენმა“ შეტევაში ბურთი დაკარგა და მარკოიშვილმა ჯარიმის ოანხლებით ჩააგდო „ვამარჯვების“ ბურთი.

მოედანზე სტუ-ს ფანობა გალმოეშვა და ასეთი მნიშვნელობის მატჩებს რომ ახლავს, ისეთი ზარზეიმით აღინიშნა სტუდენტური ტრიუმფი.

ნამატჩევს

გიორგი მარკოიშვილი:

ძალიან დაძაბული თამაში იყო, სხვანაირად არც შეძლებდა ყოფილიყო. მოედანზე მაქსიმუმი გავიღეთ და ძალიან ბახარებული ვარ. ყველას ვულოცავ ღღეკანდელ გამარჯვებას.

ირაკლი ჯაფარიძე:

არც კი ვიცი, რა გითხრათ, ემოციებისგან დაცლილები, მაგრამ ძალიან ბედნიერები ვარ. მემგონი, ღირსეულად გავხდით ჩემპიონები.

დავით ბერიშვილი:

მატჩი თავიდან ბოლომდე გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა, დაძაბულობას აუტანელი სიცხეც ეაემატა, რაც უფრო დამღლელი იყო. დიდი მადლობა გულშემატკივრებს, რომლებმაც ნამდვილად ჩინებული საკალათბურთო ატმოსფერო შექმნეს და ასევე მოწინააღმდეგე გუნდს დიდებული თამაშისთვის.

რამაზ გოგობერიშვილი:

ოთხდღიანმა დასვენებამ ჩვენზე ძალიან კარგად იმოქმედა. როდესაც თამაშები ყოველ მეორე დღეს გვქონდა, ძალების აღდგენას ვერ ვასწრებდით და მოედანზე ვერ ვაჩვენებდით იმას, რაც მართლა შეგვიძლია. დღეს ბიჭებმა ყველაფერი გავაკეთეთ გამარჯვებისთვის, გულშემატკივარს კი უდიდესი მადლობა მხარდაჭერისათვის.

ლადო ფულუკიძე

სტუ 3:2 ავიამშენი

სამ გამარჯვებამდე

96:85

27:24 25:23 11:21 33:17

სტუ-ჯეოსელი	ქ	მ	პ	ჩ	დ
დ. ბერიშვილი	22	5	3	3	3
კეიდია	10	4	1	-	3
გაგნიძე	13	5	2	1	2
შანიძე	7	2	-	1	2
მათიაშვილი	1	7	-	-	2
მარკოიშვილი	30	4	-	-	4
ჯაფარიძე	7	5	4	-	3
გოგობერიშვილი	6	9	1	-	1
მიქაძე	-	3	-	-	-

ავიამშენი	ქ	მ	პ	ჩ	დ
თორთლაძე	5	1	-	1	3
ნიკოლაძე	10	3	1	1	2
ხოშტარია	5	4	5	1	2
შენგელია	12	5	-	-	1
ნონელია	3	6	2	3	1
ნინიაშვილი	13	5	-	1	-
ორმოცაძე	12	4	1	1	-
ბოლქვაძე	3	2	-	-	-
ბერძენიშვილი	20	5	1	2	-
აბრამიძე	2	-	1	-	1

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა

NBA

N B A PLAY OFF 2005
კონფერენციის ფინალი

აურიე და იბატონე
დეტროიტმა ამღვრეულ თამაშში მაიამი დაიჭირა



შაკილ ონილი „დეტროიტის" ვიწროებში ვერ გაინძრა

— 23 აპრილი —

აღმოსავლეთი

მაიამი 0:1 დეტროიტი

მაიამი 81:90 დეტროიტი

მაიამი: ვეიდი (16), დ. ჯონსი (5), ე. ჯონსი (22), ჰეისლიმი (6), ონილი (20); დულინგი (8), მურნინგი (4), ბატლერი, ლეიტნერი

დეტროიტი: ბილაფსი (18), ჰამილტონი (16), პრინსი (13), რ. ვოლესი (20 ქულა, 10 მოხსნა), ბ. ვოლესი (13 ქულა, 13 მოხსნა); მაკდაისი (10), აროიო, ჰანტერი, კემბელი

„ვაშინგტონთან" გასეირნების შემდეგ „მაიამის" რვა დღე ჰქონდა დასასვენებლად, „ინდიანასთან" ნაბრძოლ „დეტროიტს" კი მხოლოდ სამი, თუმც თავად ხედავთ, ვის როგორ არგო უქმობამ. „დეტროიტი" აქამდე არცთუ დამაჯერებლად თამაშობდა და „მაიამივით" პირწმინდად ვერ მუსრავდა მეტოქეებს, მაგრამ შარშანდელმა ჩემპიონმა წლევანდელი რეგულარულის აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდს პირველივე თამაშში აართვა მოედნის უაპირატესობა და თანაც ამ პლეი ოფში პირველად აგემა მარცხი.

თანაგუნდელებზე მეტხანს უქმობდა „მაიამის" ბოხვერა ცენტრი, მთელ ლიგაში ერთადერთი დიდი და ნამდვილი ცენტრი შაკილ ონილი. მტკივანი თეძოს გამო მან წინა სერიის ორი მატჩი გამოტოვა და 10 მაისის შემდეგ პირველად გავიდა მოედანზე. თავიდან შაკს არცთუ ურიგოდ მისდიოდა საქმე, პირველი ოთხი ტყორცნა ჩააგდო, მაგრამ მერე დეტროიტელ დამცველთა ხელების ტყეში ჩაიკარგა და თავი თუ არა, ბურთი ნაღდათ დაკარგა. ვერც საკუთარ ნახევარზე მისდიოდა საქმე ბრწყინვალედ, სტუმრებმა რამდენიმე მოსახსნელი ბურთი ცხვირწინ ააცალეს და მხოლოდ 5 მოხსნას დააჯერეს...

შაკი ჯახირობდა და, მასპინძელთა ჭირად, ვერც მისმა მომცრო თანამებრძოლებმა ივაჟკაცეს. წლევანდელ პლეი ოფში, საშუალოდ მატჩში 28,6 ქულის მხვეჭელმა დუეინ ვეიდმა თამაშიდან 25-ჯერ ტყორცნა და მხოლოდ შვიდი ჩააგდო, შედეგად კი 16 ქულა მოუგროვდა, რაც მისი საპლეიოფო ანტირეკორდია. გასაკვირი კი ის გახლავთ, რომ 191-სანტიმეტრიან ვეიდს მასზე ბარე 15 სანტიმეტრით მაღალი და შესაბამისად ნაკლებად მოძრავი ტაიშონ პრინსი მეურვეობდა და „მაიამის" პირველ მექულეს მაინც ვერა გამოუვიდა რა.

„დეტროიტის" მრავლისმნახველი თავკაცი ლარი ბრაუნი ამხელა „მაიამისთან" სხვა ექსპერიმენტებსაც არ მორიდებია — მაგალითად, გამთამაშებელი ჩონსი ბილაფსი მსროლელ დეიმონ ჯონსზე მიუშვა და კიდევ ბევრი რამ „აურ-დაურია". ამ ავანტიურიდან კი ის გამოვიდა, რომ შეტევის დროს ისედაც დეტროიტულ კედელს შეჯახებულმა მაიმელებმა დაცვაშიც დაკარგეს ორიენტაცია და ამ ამღვრეულ წყალში თევზი „დეტროიტმა" დაიჭირა.

ასეა, გამოცდილი გუნდია „პისტონზი", ავტოქალაქელები ზედიზედ მესამე კონფერენციის ფინალს თამაშობენ და მშვენივრად იციან, რასაც აკეთებენ. გავიხსენოთ, ჩემპიონებიც ხომ ამიტომ გახდნენ, რომ შაკილ ონილს მორებივით ხელფეხი გაუკავეს და მის შარშანდელ გუნდ „ლეიკერსსაც" ამგვარი ქაოტური წესრიგით აურიეს თავგზა.

48 სათამაშო წუთში „მაიამი" არაერთხელ გავიდა წინ, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა სტუმართა ნებისყოფა, გამარჯვებისკენ სწრაფვა და ეს შედეგი ნაღდად არ ჩაითვლება მოულოდნელობად. „დეტროიტი" ბოლო მეოთხედის შუაწელს 80:71 რომ იგებდა, მაიამელებმა ღონე და გონი მოიკრიბეს და ერთი მონაკვეთის 9:0 მოგების შემდეგ კიდევ ერთხელ გაათანაბრეს, თუმც ჩემპიონებმა მათი ოცნების ვარდისფერი ნისლი რამდენიმე წუთში გაფანტეს, შეხვედრის ბოლო 5 წუთი 10:1 მოიგეს და ახლა ემოციების და შინაგანი ძალების ისეთ მოზღვავებას გრძნობენ, ამბობენ, მაიამიში მეორე თამაშსაც მოვიგებთ და შინაც მშვიდობით ჩავალთო.

კოტე ყორშია

„ნონას" თასში ჩატეული ფული

გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასის გათამაშება.

ტურნირის ორგანიზატორი საქართველოს ოლიმპიური ფონდი და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საჭადრაკო კლუბი „ნტნ" არიან. შეჯიბრების საპრიზო ფონდი 14600 ლარია და, დებულების თანახმად, უფულოდ არც ერთი მოთამაშე არ წავა.

ტურნირი დიდოსტატმა ნანა ალექსანდრიამ გახსნა, მერე კი მომღერალთა გუნდმა საქართველოს ჰიმნი დააგუგუნა. ტურნირზე მრავლად იყვნენ ცნობილი სახეები — ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი გურამ აბსანძე, სპორტისა და კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი, მაჟორიტარი დეპუტატი გიგი წერეთელი, დიდი ბრიტანეთის ელჩის მეუღლე და სხვანი.

დებულების მიხედვით, მოჭადრაკეები ორ 15-15 წუთიან პარტიებს გაითამაშებენ და ყაიმის შემთხვევაში 5-5 წუთიანი პარტიები დაემატებათ. მოგებული თუ ვერ გამოვლინდა, მაშინ ისინი კიდევ ერთ სპეციალურ პარტიას გაითამაშებენ, სადაც თეთრებს მოსაფიქრებლად 6 წუთი ექნებათ, შავებს კი — 5. ამ პარტიის ყაიმით დასრულების შემთხვევაში გამარჯვებულად შავები გამოცხადდებიან.

„ნონას" თასის მთავარ ფინალურ ტურნირზე 16 დიდოსტატმა ოლიმპიური სისტემით დაიწყო თამაში. გუშინ მათ პირველი ორი ეტაპი გაითამაშეს, დღეს კი გამარჯვებული გაირკვევა [illegible] ტურნირისა, პატარებისაც [illegible] თავის გამოჩენის შანსი და [illegible] 14 და 16 წლამდელი მოზარდე[illegible] სთვის სპეციალური ტურნირი [illegible] მართეს. ამასთან ნონა გაფრინდაშვილმა 14 მოზარდს ცალკე [illegible] როული სეანსი ჩაუტარა.

ახლა ცოტა პრიზებზეც ვთქვათ: პირველ ადგილზე გასული 5 ათას ლარს მიიღებს, მეორე — 3 ათასს, მესამე — 2 ათასს, მეოთხე [illegible] 1000. მეორე ეტაპზე გავარდნილი [illegible] ჭადრაკეებს 500 ლარი [illegible] ხოლო პირველში დამარცხებულებს — 200

ჩვენი კანონების მიხედვით [illegible] ჭადრაკეებს თანხის 12 პროცენტი დაეზეგრებათ, მთავარი [illegible] ბული კი დღეს გამოვლინდება.

ლაშა ბებეჭკორი

giro d'italia

ჯირო დიტალია 2005. *7-29 მაისი*

ჯიროში პო იპოვა

მე-15 ეტაპი. 23 მაისი. ვილა დი ტირანო	ლივონე. 154 კმ
1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო)	3 სთ, 32 წთ, 41 წმ
2 ერიკ ცაბელი (გერმანია, T-მობილი)	
3 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქ სტეპი)	ორივე იგივე დრო
საერთო ჩათვლა	
1 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი)	70 სთ, 54 წთ, 9 წმ
2 დანილო დი ლუკა (იტალია, დისკოვერი)	-25 წმ
3 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე)	-1 წთ, 48 წმ

AFP

ალესანდრო პეტაკიმ მესამე ეტაპი მოიგო

AFP

უკან დარჩა დოლომიტის წყეული ალპები, პელოტონი დროებით ვაკეზე დაეშვა და მრბოლებმაც ოდნავ ამოისუნთქეს. ამ გულისამომგდებმა აღმართებმა „ჯირო დიტალიას" ჩემპიონობის სამი ძირითადი კანდიდატი გამოკვეთა — პაოლო სავოლდელი, დანილო დი ლუკა და ჯილბერტო სიმონი. სამივე იტალიელია და, როგორც ჩანს, ტიტული წლეულსაც ერთ-ერთ მასპინძელთაგანს დარჩება. „ჯირო დიტალიას" ბოლო არაიტალიელი გამარჯვებული რუსი პაველ ტონკოვია (1996).

რაც შეეხება შაბათს გადაგორებულ მე-15 ეტაპს, აქ ამინდმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ისედაც გასავათებულ მრბოლებს კიდევ ერთხელ უწევდათ მთებზე ცოცვა და უღელტეხილებზე აბობღება. საშინელი აღმართი ლივინოში სტარტიდან უკვე 10 კილომეტრში იწყებოდა, მაგრამ ამ მთას ისეთი რისხვა დაატყდა და ისეთი ბარაქიანი ნალექი წამოვიდა, რომ ორგანიზატორებმა ეტაპს პირველი 53 კილომეტრი მოაჭრეს და 207-კილომეტრიანი გზა 154-მდე შეკვეცეს. შედეგად ბოლო ათეულ კილომეტრებამდე ყველა ერთდროულად ჩაგორდა და იქ უკვე ჩრდილო იტალიის დედამდინარის, პოს დაბლობზე დაუღლელად ჩაღწეულმა სპრინტერებმა ჩვეული მარულა გააჩაღეს, რომელიც, რა გასაკვირია და, ჩაუქი ალესანდრო პეტაკის გამარჯვებით დასრულდა.

მშვენიერი გუნდი ჰყავს სანდროს და ამაზე არაერთხელ მოგვიხსენებია ერთგული მკითხველისთვის. „ფასა ბორტოლომ" კვლავ იაკოსი ტემპი შესთავაზა პელოტონს და ლიდერი პეტაკიც უმტკივნეულოდ გააქცუნეს ფინიშის სწორზე. ამანაც აჯობა „ჯიროს" საერთო ჩათვლის ყოფილ პირველთან პაოლო ბეტინისა და [illegible] სლაც უჩაუქეს, აწ კი შებერებულ გერმანელ ერიკ ცაბელს და წლეულს მშობლიურ ველოტურზე მესამე გამარჯვება ჩაიწერა.

24 მაისს ჯირო ისვენებს, შემდეგ კი ველოქარავანი კვლავ [illegible] პოს დაბლობს, ავორდება ა[illegible]ნის ნახევარკუნძულის [illegible] ქედზე და ჩაგორდება ლიგურიის ზღვისპირა ვარაზეში, რივიერის სანაპიროზე, 26 მაისიდან კი შედარებით მომცრო საფრანგეთის სასაზღვრო ალპებს შეუყვება.

კოტე ყორშია

როლან გაროსი 2005



აგასი იქნევს, ქარავანი მიდის

პირველი წრე

კაცები

მარატ საფინი (3, რუსეთი) — **რაემონ სლოიტერი** (ჰოლანდია) 6:1 4:6 6:4 6:2; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — **ანდრე აგასი** (6, აშშ) 7:5 4:6 6:7 (6:8) 6:1 6:9; **ნიკოლაი დავიდენკო** (12, რუსეთი) — **საშა ტუკსარი** (ხორვატია) 6:2 6:4 6:3; **მარიანო პუერტა** (არგენტინა) — **ივან ლიუბიჩიჩი** (13, ხორვატია) 7:5 7:5 6:2; **ტომი რობრედო** (15, ესპანეთი) — **პიტერ ლუშაკი** (ავსტრალია) 4:6 6:3 6:3 6:3; **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) — **ფელისიანო ლოპესი** (24, ესპანეთი) 6:2 6:0 6:7 (5:7) 6:4; **ნიკოლას კიფერი** (28, გერმანია) — **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) 6:3 6:3 6:4; **მიხაილ იუჟნი** (29, რუსეთი) — **ჟილ მიულერი** (ლუქსემბურგი) 6:4 6:1 6:0; **ხუან კარლოს ფერერი** (32, ესპანეთი) — **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) 6:4 6:3 6:3

ქალები

მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — **ევგენია ლინეცკაია** (რუსეთი) 6:7 (3:7) 6:2 6:4; **ამელი მორეზმო** (3, საფრანგეთი) — **ევი დომინიკოვიჩი** (ავსტრალია) 6:2 6:1 **სვეტლანა კუზნეცოვა** (6, რუსეთი) — **მატილდ ოჰანსონი** (საფრანგეთი) 6:1 6:1; **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — **მაშონა ვაშინგტონი** (აშშ) 6:4 6:2; **ჟუსტინ ენინ-არდენი** (10, ბელგია) — **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) 6:0 4:6 6:4; **ელენა დოვინა** (12, რუსეთი) — **მარია ვენტო-კაბჩი** (ვენესუელა) 6:0 6:3; **ნურია ლიაგოსტერა ვივესი** (ესპანეთი) — **აი სუგიამა** (23, იაპონია) 6:3 4:6 6:4; **მაგდალენა მალეევა** (24, ბულგარეთი) — **რიკა ფუჯივარა** (იაპონია) 6:4 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — **პაოლა სუარესი** (26, არგენტინა) 7:5 1:6 6:0; **ხისელა დულკო** (30, არგენტინა) — **სანია მირზა** (ინდოეთი) 6:3 6:3

ამაოდ იხვეწებოდა ტურნირის დაწყებამდე 35 წლის ლეგენდარული არმენიამერიკელი, ჯერ ნუ ჩამომწერთ და საამროლანგაროსო შანსებს ეგრე ხელაღებით ნუ გამიტრიზავებთო. როგორც 12 წლით უმცროს იარკო ნიემინენთან მისმა გუშინდელმა სამსაათიანმა შეხლამ ცხადყო, ტურნირის 1999 წლის ჩემპიონის შანსები ამ მომენტისთვის მართლაც გახვრეტილ აბაზიანად ღირებულა და თავ-თავის დროს დიდი მუზარადის ოთხსავე შეჯიბრზე ნახერალმა ავასიმაც — რაიც, სხვათა შორის, ჩოგბურთის ისტორიაში სულ ხუთ კაცს გამოსვლია — ალბათ, დროა, დამსახურებულ დასვენებაზეც იფიქროს. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბებერ ფაკირს გუშინ მარჯვენა მუხლი აწუხებდა და ეგებ ამის ბრალიც იყო, ისედაც მასაკენებულს კორტზე გადაადგილება უკიდურესად რომ უჭირდა. ტრავმამ და დაღლილობამ თავი განსაკუთრებით მეოთხე-მეხუთე სეტებში იჩინა, როცა ავასი საერთოდაც ვეღარაფერს ახერხებდა და ისეთი სევდიანი გამომეტყველებით იცქირებოდა, როგორც რომ ქარავანს ჩამორჩენილი ჯანდაგი აქლემი... მარტო ის რად ღირს, რომ მისი უნებლიე შეცდომების რაოდენობა ასამდე ავიდა, ხოლო ბოლო სეტში მან პრესტიჟის გეიმის მოგებაც ვერ შეძლო. ერთი სიტყვით — რვაგზის სლემტიტულოსნისა და კარიერისას ჯამში 39 ტიტულის მომნაგვრელი ჯადო ანდრეს მე-17 როლანგაროსობა ისევე სავალალოდ დასრულდა, როგორც შარშანდელი, როცა — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — ავასი ასევე პირველ წრეში სულაც სეტისწაუგებლად აოტა უსახელო ფრანგმა ჟერომ ენელმა.

სხვაფრივ — კაი ძალი ოფლის ღვრა და ჩოგნის ორი საათისა და 25 წუთის განმავლობაში ქნევა დასჭირდა შარშანდელი უიმბლდონობის ჩემპიონ 18 წლის მარია შარაპოვას, ვისაც უფიცხელესი წინააღმდეგობა გაუწია მისკბილა თვისტომმა ევგენია ლინეცკაიამ. შარშანდელმა მეოთხედფინალისტმა მაშამ, ვისაც შანსი აქვს, ამ ტურნირზე გამარჯვების შემთხვევაში მეორე სლემტიტულთან ერთად ამქრის სეფეჩოგანიც ჩაიბაროს, მატჩის მსვლელობისას ორჯერ მოუხდა დათმობილ სადაეთა უკუპყრობა — პირველად მაშინ, როცა წაგებული სეტის შემდეგ მეორეში გაიჯლიგინა, მეორედ კი გადამწყვეტ სეტში, როცა ლინეცკაია მასთან 3:1 უპირატესობდა.

ასევე სამსეტიანი ბრძოლა გადახდა და კორტზე ოდენ ათი წუთით ნაკლები დაჭკო ტურნირის მეორე მთავარფავორიტმა ჟუსტინ ენენ-არდენმა, ვისაც მედგრად ეპაექრა ტურნირის 2000 წლის ფინალისტი, ვეტერანი ესპანელი კონჩიტა მარტინესი. მარტინესი თავის მე-18 და, როგორც ირკვევა, უკანასკნელ როლანგაროსობაზე გამოდიოდა და დასტურ ისე ითამაშა, როგორც ტურნირისთვის თავის დამკვრელს ეკადრებოდა. თუმცა თავის ზედიზედ მე-18 გამარჯვების მიმთვლელ ჭინკა ბელგიელთან მაინც ვერაფერი გააწყო.

საროლანგაროსო ამბავ-ხაბარი

ნადალი: «თევზაობა მალიორკაზე თუ დაბადების დღე პარიზში?!»

წლეულს ხუთი თიხნარტიტულის მომხვეჭი უნიჭიერესი ესპანელი მეჩოგნე რაფაელ ნადალი, ვინაც 3 ივნისს 19 წლისა შესრულდება, თავის პირველ როლანგაროსობაზე გამოდის. რაკიღა იგი ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია და საპირველწრეო მატჩშიც იოლად (6:1 7:6 6:1) გაუსწორდა უსახელო გერმანელ ლარს ბურგსმიულერს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, თქვენთვის მისი ნაამმატჩევი ინტერვიუს გადმოქართულებული ვარიანტი შემოგვეთავაზებინა



— როგორ გრძნოთ თავს როლანგაროსზე თქვენი დებიუტის მერე?

— რიგიანად. ჰო, ხოშიანად ვარ. თუმცა ეს არ იყო ჩემი საუკეთესო თამაში. რასაკვირველია, როცა დიდი მუზარადის ტურნირზე გამოდიხარ, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ და მეორე სეტში ეგებ ამიტომაც ვიყავი ოდნავ შებორკილი. ალბათ, არ არის გასაკვირი, რომ მენერვიულა. როცა სხვებს გავესაუბრე — მაგალითად, ჩემს თვისტომ კარლოს მოიას — თავიანთი დებიუტისას თურმე ყველა ასევე ნერვიულობდა. ისე კი, მთავარია, რომ მოვიგე და უფრო უკეთ თამაშს მეორე წრეში ვეცდები.

— თუკი მეორე წრეშიც მოიგებთ, მესამეში შესაძლოა თქვენ ფრანგ თანატოლ რიშარ გასკეს დაეჯახოთ. გხიბლავთ მასთან ბურთაობის პერსპექტივა?

— ზეგ მე მალისს ვხვდები... გასკეს კი ჯერ პირველი მატჩიც არ მოუგია. არ ვიცი რა გითხრათ, საერთოდ მხოლოდ უახლოეს შეხვედრებზე ვფიქრობ ხოლმე.

— ჩანს, რომ ინგლისურს ჯერ ბოლომდე ვერ ამუღამებთ, მაინც რა გიქმნით ყველაზე დიდ პრობლემას ამ ენის შესწავლისას?

— ყველაზე რთული დროები და ზმნებია. ამის დამუღამება მართლაც მაგრად მიჭირს.

— როლანგაროსულ ატმოსფეროზე რას იტყოდით? გაგიმართლათ მოლოდინი?

— ატმოსფერო აქ მშვენიერია და მეც ბედნიერი ვარ, ჩემს პირველ როლანგაროსობაზე რომ ვთამაშობ. ძალიან მინდა, აქ ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვაჩვენო, თუმცა ვიცი, რომ ეს ადვილი არ იქნება. მომდევნო დღეებში კიდევ ბევრი რამის გაუმჯობესება მომიწევს.

— მაინც რისი?

— დარტყმებისას მეტი თავდაჯერებულობა მჭირდება. ბურთი აქ ცოტა უცნაურია, თითქოს ოდნავ უფრო სწრაფად დახტის. ასე რომ, უწინარესად ბურთს და კორტს უნდა შევეჩვიო. ალბათ უფრო თავდაჯერებულადაც თავს მერე ვიგრძნობ.

— არ გეჩვენებათ უცნაურად ის ამბავი, რომ დიდი მუზარადის ტურნირებიდან ყველაზე ბოლოს სწორედ როლანგაროსობას აჭაშნიკებთ? ესპანელებისთვის ხომ ეს უსაყვარლესი სლემტურნირია.

— ჰო, მაგრამ შარშან და შარშანწინ ხომ ტრავმები მქონდა... და, ძალიან გთხოვთ, ნუ იცინით ჩემს ინგლისურზე, მე ვცდილობ ინგლისურად რაც შეიძლება მეტი ვილაპარაკო, რათა ამით ინგლისურენოვან პუბლიკას ვასიამოვნო.

— კარგით, მაშინ ახლა კითხვებს ესპანურენოვანი ჟურნალისტები დაგისვამთ... თქვენ ხშირად გადარებენ ხოლმე ბორის ბეკერს. რას ფიქრობთ ამაზე?

— თუკი ჩემი დღევანდელი თამაშის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაინცდამაინც ფავორიტად მისაჩნევი ეგებ არც ვიყო. ჰო, მართალია, 18 წლის ვარ და წლეულს ყველაზე მეტი თიხნარტურნირი მოვიგე, მაგრამ თიხნარზე აშკარა ფავორიტები მაინც არ არსებობენ... ბეკერთან შედარებისთვის კი დიდი მადლობა.

— პარიზში 19 ესპანელი ხართ. ალბათ საღამოობით კაცურად ილუდავებთ ხოლმე, არა?

— სამწუხაროდ, ჩვენ ყველანი ერთ სასტუმროში არა ვარო.

— ისე, თანამემამულეთაგან ყველაზე მეტად ვისთან ურთიერთობთ?

— ყველასთან კარგად ვარო, თუმცა მოია და ფელიასიანო მაინც ყველაზე ახლობლები არიან.

— „მალიორკამ“ „დეპორტივოს“ გასვლაზე რომ 3:0 მოუგო, თუ უყურეთ?

— დიახ, ეს არაჩვეულებრივი მატჩი იყო. ერთი თვის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, „მალიორკა“ ასეთ რამეს თუ შეძლებდა. ამ მოგებამ „ლევანტეესთვის“ ერთი ქულით გაგვასწრებინა და იმედი მაქვს, ამ უპირატესობას არც ბოლო ტურში დაკარგავთ, მით უფრო, რომ ჩვენ „ბეტისს“ შინ ვხვდებით, ისინი კი „ვილიარეალს“ — გასვლაზე. ასე რომ, ალბათ პრიმერაში დავრჩებით.

— დაბადების დღის გადახდას პარიზში აპირებთ?

— ჰმ, 3 ივნისი ნახევარფინალის დღეა. არ არის გამორიცხული, იმ დროისთვის უკვე მალიორკაზე ვიყო და ჩოგნის ქნევის მაგივრად დარდებს თევზაობით ვიქარვებდე... თუმცა, ცხადია, არაფერი იმაზე მეტად არ მსურს, დაბადების დღე სწორედ აქ და თანაც გამარჯვებულმა გადავიხადო.

პატარა უფლისწული

რიშარ გასკე

ფრანგისთვის საფრანგეთის ღია პირველობაზე მოგებული ყოველი მატჩი უდიდესი მიღწევაა. სწორედ ამიტომ იყო, 18 წლის რიშარ გასკე პირველ წრეში იტალიელი დანიელე ბრაჩალის 3:6 6:3 6:2 6:4 ძლევის მერე რომ ამბობდა, ამ მატჩის მოგება ლამის მონტეკარლოების მეოთხედფინალში როჯერ ფედერერის ძლევაზე უფრო გამისწორდაო.

როლანგაროსობაზე გასკე პირველად 2002 წელს გამოჩნდა, როცა 15 წლისა და 11 თვისა ტურნირზე ოდესმე გარჯილთაგან მეორე უმრწემესი ყმაწვილი შეიქნა. იმ წელს მან იუნიორთა შეჯიბრზე იჩემპიონა, შარშან კი ტატიანა გოლოვინთან შეწყვილებულმა შერეულ ჯუფეებშიც იმარჯვა. თუმცა საერთეულო შეხვედრა ამ ორშაბათამდე ვერ მოეგო.

საერთოდ კი, ვინგინდავინ ფრანგ მეჩოგნეს საფრანგეთის ღია პირველობა 1983 წლის მერე არ მოუგია — ბოლო, ვინც ფრანგთაგან იტიტულა, განოქმული ანიკ ნოა იყო.

როგორ ფიქრობს ფრანგთა წამოჩიტული უფლისწული, შესძლებს ის წლეულს ტურნირის მთავარფავორიტებთან გადავებას?

„იცით რა — პასუხობს გასკე — ახლა მხოლოდ ის მინდა, როგორმე მესამე წრეში გავაღწიო.“



გიორგი უდესიანი



ემზარ ზენაიშვილი

ორი კომენტარი ერთი შეხვედრის თაობაზე

გუშინწინ, სპორტის აკადემიაში საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრამ სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან დიდი ინტერესი გამოიწვია.
პრეზიდენტმა ისაუბრა მასობრივი სპორტის განვითარების აუცილებლობაზე, სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, სპორტული კადრების, უწინარეს ყოვლისა მწვრთნელთა კადრების მოფრთხილებაზე, სპორტის მაფიოზებისგან დახსნაზე და სხვა მრავალ პრობლემაზე, რაზეც გუშინდელ „სარბიელში" გიამბეთ.
ქვემოთ გთავაზობთ ორ კომენტარს, რომლებიც ვთხოვეთ თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსს, იმავდროულად საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტს გიორგი უდესიანს და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს.

გიორგი უდესიანი:

— ეს შეხვედრა ძალზე მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა ჩვენი სპორტის განვითარების პრიორიტეტებზე. აქცენტი გაკეთდა პროფესიული და მასობრივი სპორტის ჰარმონიულ განვითარებაზე, რაც ჯანსაღი თაობის აღზრდა-განვითარების საწინდარია, ეს კი ძლიერ ჯარსაც გულისხმობს. ქართული სპორტის სიმტკიცე და საქართველოს სამხედრო ძლიერება ხომ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და სწორედ ამისკენ ისწრაფვის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილმა, რა თქმა უნდა, ისაუბრა ქართული ფეხბურთის საჭირბოროტო საკითხებზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებზე. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ფედერაციაში მოვიდეს ახალი ძალა, რომელიც ახლებურად შეხედავს ღლევანდელ მდგომარეობას.

მიხეილ სააკაშვილმა განსაკუთრებით აღნიშნა ჭიდაობისა და წყლოსნო სახეობების ბოლოდროინდელი წარმატებები. მე, როგორც წყალთა სახეობების ფედერაციის პრეზიდენტს, განსაკუთრებით მესიამოვნა მიხეილ სააკაშვილის ყურადღება ჩვენი მოცურავეების, წყალბურთელების, წყალში მხტომელებისა და სინქრონული მოცურავეების მიმართ. მათდამი პრეზიდენტის ყურადღების გამოხატულება იყო ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა სურვილი თუ მოთხოვნა, რომ „ქარიშხალას" სპორტკომპლექსი, რომელსაც საცურაო აუზიც აქვს, გადაეცეს ჩვენი საწყლოსნო სახეობების წარმომადგენლებს, რაც პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მომზადების საწინდარი გახდება.

მოგეხსენებათ, საპეკინოდ გუნდურ სახეობებში ლიცენზიის მოპოვების ყველაზე მეტი შანსი წყალბურთში გვექნება, თუ ჩვენი ნაკრები ჩვენივე ლეგიონერებით შეივსება.

ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოში მსუბუქი კონსტრუქციების სპორტული მოდულების ჩამოტანა და დამონტაჟება, რაზეც პრეზიდენტმა ისაუბრა. მან საზოგადოებას ისიც აუწყა, რომ წლეულს საქართველოში ათი ასეთი მოდული გვექნება, რომელთაგან ხუთი თბილისში დამონტაჟდება.

მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს სპორტის კიდევ ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრა და ყველას თანადგომას დაგვპირდა, რისთვისაც მადლობის მეტი არა გვეთქმის.

ემზარ ზენაიშვილი:

— საქართველოს პრეზიდენტმა ამა თუ იმ პრობლემაზე მეტად საინტერესო შეხედულებები გაგვიზიარა. ამათგან მე სამს გამოვყოფდი: პირველი — ესაა ზრუნვა მასობრივი სპორტის განვითარებაზე. რა თქმა უნდა, კარგია დიდ სპორტში გამარჯვებები, სასიხარულოა იქ მოპოვებული მედლები, მაგრამ ქვეყნის სიძლიერე ხომ ჯანსაღი მომავალი თაობაა, ამისთვის კი დიდ სპორტთან ერთად სწორედ მასობრივი სპორტის განვითარებაა საჭირო. მაგრამ ეს ყოველივე ვერ მოხდება, თუ არ გაუმჯობესდა სპორტული ინფრასტრუქტურა. და მეორე საკითხი, რომელსაც მე გამოვყოფდი, სწორედ ამ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ეხება.

პრეზიდენტმა თავის სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო და ისაუბრა მარტივი ტიპის მოედნების მოწყობაზე, რაც უკვე დაწყებულია. პრეზიდენტმა ისაუბრა გაპარტახებული ბაზების გარემონტებაზე და აღდგენაზე. თქვა, რომ პრივატიზებული, მაგრამ უმოქმედო ბაზები ნებისმიერი ფორმით ხალხს უნდა დაუბრუნდეს, ხოლო ჯერ კიდევ გაუსხვისებელი არ უნდა გასხვისდეს.

ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესო იყო იმის მოსმენა, რომ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში უკვე შენდება სპორტული ბაზები, მათ შორის საცურაო აუზები. ისიც ძალზე სასიხარულო იყო, რომ ითქვა ოლიმპიური ცენტრები უნდა მოეწყოს თბილისის ზღვაზე და ტყიბულში.

მესამე ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად, რომელზეც მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა, მესახება სპორტული კადრების, მწვრთნელთა კორპუსის პრობლემა. ითქვა, რომ მწვრთნელთა ახალგაზრდა თაობა აღარ მოდის, ძველები კი მიდიან და რჩება ვაკუუმი. სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რომ გაუმჯობესდება მწვრთნელთა შრომის ანაზღაურება და ეს მოხდება ბიუჯეტის ზრდის კვალობაზე.

ავთანდილ ტყვიტელი

ვის დარჩება „ქარიშხალას" სპორტკომპლექსი? — საკითხავი აი, ეს არის

ქარიშხალური პასუხი

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სპორტის აკადემიაში გუშინწინდელ მოულოდნელ ვიზიტს და იქ გაკეთებულ მკაცრ შეფასებებს გუშინ პირველი გამოხმაურება მოჰყვა. სპორტულ კომპლექს „ქარიშხალასა" და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელმძღვანელებმა ჟურნალისტები „ქარიშხალაში" მიგვიწვიეს მინი-პრესკონფერენციაზე მერიის სპორტის სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა დოლიძეც მივიდა [illegible] განსხვავებული აზრიც მოვისმინეთ.

პირველი სიტყვა პროფკავშირებისა იყო. თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში ბრიუსელშია, მსოფლიოს თავისუფალი პროფკავშირების კონფედერაციის აღმასკომის სხდომაზე და მისი საქმელი მოადგილემ, ლონდა სიხარულიძემ თქვა:

...2005 წლის 25 თებერვალს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ, გაითვალისწინა ქვეყნის განვითარების და აღორძინების საქმეში ტურიზმისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობა, აგრეთვე შეთანხმებები ხელისუფლებასთან, გამოხატა კეთილი ნება და საბჭოს დადგენილებით სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა 102 პროფკავშირული ობიექტი. ამ დადგენილებას მოჰყვა ჩუქების დაპირების ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებასა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის, რომელიც გამოდიოდა სახელმწიფოს სახელით. აქვე აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით აღიარებულია, რომ „დაპირებული საჩუქარი" არ მოიცავს:

— გაერთიანების (მჩუქებლის) საკუთრებაში არსებულ თბილისში მდებარე უძრავ ქონებას, თბილისში რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოების წილებს (აქციებს), თუკი ამ საზოგადოების ქონება განთავსებულია ქალაქ თბილისში. „ქარიშხალა", მოგეხსენებათ, თბილისშია რეგისტრირებული და მისი სახელმწიფოსთვის გადაცემაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ყოფილა. პრეზიდენტის გუშინდელი განცხადება ჩვენთვის მოულოდნელი იყო. როგორც ჩანს, იგი გარემოცვის მიერ სრულად ინფორმირებული არ არის. იმედია, გამონახავს დროს ჩვენთან შესახვედრად და სიმართლის დასადგენად.

ზაზა დოლიძემ პირველ რიგში სიხარულიძის განცხადების ბოლო ნაწილი [illegible] ზიდენტი [illegible] უყვანია, მას ხუ[illegible] აქვს და მსგავსი [illegible] ლოდ იმიტომ [illegible] ხალას" საერთაშორისო [illegible] რტების კომპლექსი [illegible] ბება რომ ხურსი [illegible] თქმით, 4 თვის წინ სახელმწი[illegible] ფოს პროფკავშირების [illegible] ნების თავკაცისთვის [illegible] ში" 400 ათასი დოლარის [illegible] ტიციის ნაღება შე[illegible] თუმცა პასუხად [illegible]

...ეს კომპლექსი ქარიშხა[illegible] რტისთვის მარგალიტია [illegible] დღესდღეობით იმ ფუნქ[illegible] ასრულებს, რაც უნდა შეს[illegible] სპორტის საწყლოსნო სახეობ[illegible] საქართველოში [illegible] დღითი დღე იხვეწ[illegible] ვლოდ დიდ წარმატებ[illegible] რეალურია. საწყალოსნო [illegible] არ არის დახურული [illegible] რიშხალაში" [illegible] ბაც პირველ რიგში [illegible] მის მოგვარებაში [illegible] თუმცა ეს არ ნიშნავს [illegible] რტის სხვა სახეობ[illegible] წყვეთ — გვითხრა [illegible]

ყველაზე ემოციური [illegible] შხალას" დირექტორი [illegible] დარიანის კომენტარი [illegible]

...ქარიშხალა ლარიან[illegible] და პრეზიდენტის გუშინ[illegible] ტონმაც გამოიცა. არ მინდა [illegible] პატიოსნების მტკიცება [illegible] რადგან ასეთ ვითარებაში [illegible] ავტომატურად ვარდები [illegible] ან პოზიციაში. მაგრამ [illegible] ტეობთ მაფიოზებს? [illegible] სოდეს არ მიკეთებია [illegible] ღირსეულ მოპყრობას [illegible] აქ ბევრი პატიოსანი [illegible] შაობს, ისეთები, ერთად [illegible] ვკრიბოთ, შეიძლება [illegible] ლით ხუთი ლარი ვერ [illegible] ვონ. რა გარანტია გვაქვს [illegible] საერთოდ უმუშევრები არ [illegible] ჩებიან? თანამშრომლობა [illegible] ბლად საჭიროა, თუმცა [illegible] ხით არავითარ შემოხვევაში [illegible] ლოდ შეურაცხყოფის [illegible]

ოთარ მაღლაკელიძე

ფეხბურთი

შვედეთი
ალსვენსკა. VII ტური
გიოტებორგი 3:0 იორგრიტე

ავსტრია
I დივიზიონი. XXXV ტური
ალტახი 1:2 კაპფენბერგი
უნტერზიბენბრიუნი 2:1 კერნტენი
ლეობენი 1:0 ავსტრია (ლ)
ვიორგლი 0:1 ლინცერი
რიდი 3:2 ბრატკორნი

ამხანაგური მატჩები
პერუ 0:0 საამიროები
რუმინეთი 2:0 მოლდოვა
ნორვეგია 1:0 კოსტა რიკა

პოლონეთი
I ლიგა. XXIV ტური
გროცლინი 1:0 ლეხი

სერბეთი
თასის ფინალი
ცრვენა ზვეზდა 0:1 ჟელეზნიკი

ისლანდია
პრემიერდივიზიონი. II ტური
ვალიური 2:0 აკრანესი

სლოვაკეთი
I ლიგა. XXXIII ტური
რუჟომბეროკი 6:0 ინტერი
ტრენჩინი 2:1 ტრნავა

მიდი, პაოლო, მიდი მალე

პაოლო სავოლდელიმ დიდი დელიოდელა ატეხა — ჯიროს მე-15 ეტაპზე გაიმარჯვა, ყვითელი მაისურა შეინარჩუნა და კაი კოცნაც მიიღო.

AFP ფოტოქრონიკა

AFP ფოტოქრონიკა

წავიდა

რამდენიმე დღის წინ გერმანიაში ცურვის ჩემპიონატი გაიმართა და იქ ერთი ძალიან საყურადღებო რამ მოხდა 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ფრანცისკა ვან ალმსიკი სპორტიდან წავიდა.

აი, B

AFP ფოტოქრონიკა

კოპენჰაგენში ცხენოსნობა მოეწყო და მასში ჩინებულად იასპარეზა ლეონარდო B-ზე ამხედრებულმა გერმანელმა თომას ფოსმა.

AFP ფოტოქრონიკა

კოლინი და დენისა

ამერიკელები გიჟდებიან საკვირაო ავტორბოლაზე, რომელსაც „ინდიანაპოლის 500-ს“ უწოდებენ, რადგანაც ინდიანაპოლისში ტარდება და მრბოლები 500 მილს ანუ 800 კილომეტრს მიშლიგინებენ. ახლა კვირას ეს ამბავი ოთხმოცდამეცხრედაა და მასში თავიდან თბილისში ნამყოფი გენერალი კოლინ პაუელი წაიმძღოლებს. ნაღდი მრბოლი დენისა პატრიკი კი 33 მონაწილის წარდგენაზე ტუჩებს იმასაჟრება და, ეტყობა, სხვა რაღაცაზე ფიქრობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოშტარია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნაშვილი, ბიძინა კვიციაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხრაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge